# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 სექტემბერი, 2013 წელი.

№181 (7308)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უპადრისობაზე უსაძაგლესია.



## მეორე ტურის მოლოდინში

3

## დაცვის პოლიციის ტენდერებით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს!

4

## ტერაქტი თუ ბოროტი ხუმრობა

5

## ხარატიშვილს თავისივე შემოღებული შეზღუდვები არ მოსწონს




## „ტულუშის გმირობის შესახებაც არაფერი იცოდა საზოგადოებამ, რადგან წინა ხელისუფლება ამას მალავდა“

6

## მოსკოვისა და თბილისის დიალოგი ღობეს მიებჯინა

8



**იუზა ჩაკვეტაძე**

## გამოაღვიძა ერი თბილისმა

ცრემლები სცვივა მთა-ბარს ნისლიანს,
ნუ ვაჯიჯგნინებთ მამულს თავხედებს,
შუღლს აღვივებენ და გესლს ისვრიან,
ერს მოვუწოდებ, ისევ ამხედრდეს!

ჩურჩული მოაქვს ნიავს შორიდან,
იქ თურმე მუდამ გაზაფხულია,
ვაჟკაცს ვერ შექმნი სულით მონიდან,
კვალი არ რჩება, სადაც უვლია.

რწმენის გარეშე ქრება იმედი,
მტერს ვერ გადენი სილაგაწნული,
მომავლისათვის მერანს ვინც ხედნის,
აწმყოს უმაგრებს ფუძე წარსულის.

მედგრად უხვდება უშბა ქარიშხალს,
ვერ გაუმრუდებს კლდოვან ხერხემალს,
არ დავაჟანგებ, ვლესავ პაპის ხმალს,
უსიყვარულოდ გული ხევდება.

ჩემმა ოცნებამ ღამე ათია,
მზე ამოვიდა, თვალს არ ინისლავს,
გორგასალია მისი ნათლია,
გამოაღვიძა ერი თბილისმა.

ნუში აყვავდა, ბაღი მშვენდება,
მზე მოუშუშებს მთვარეს იარებს,
მახათას მთაზე ტაძრის შენება,
ამერს და იმერს აერთიანებს.

ზეცა მირონით მამულს მონამავს,
შვილებს არ გავხდით სხვების
ფარეშებს,
ერთობა აგებს ნათელ
მომავალს,
სული არ რჩება რწმენის
გარეშე.



20.09.2013 წელი

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

**კანონმდებლები**

# პარლამენტი პრემიერს უფლებამოსილებას ამცირებს

**პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შემცირებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ინიციატივა პირველი მოსმენით - 112 ხმით, ერთხმად მიიღო. საკანონსტიტუციო პროექტს მხარი საპარლამენტო უმცირესობამაც დაუჭირა.**



კენჭისყრის წინ სპეციალური განცხადება უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა გააკეთა და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი მთავრობასთან მიმართებაში პარლამენტის როლის გაძლიერებას უწყობს ხელს და მომავალშიც უმცირესობა მზად არის, ყველა ასეთ საკონსტიტუციო ცვლილებას დაუჭიროს მხარი. განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ კონსტიტუცია არც ერთი პარტიის დოკუმენტი არ არის. პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ საკონსტიტუციო საკითხებზე თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება.

პარლამენტმა პირველი მოსმენით ის საკანონსტიტუციო ინიციატივა მიიღო, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასამოქმედებელი რიგი კონსტიტუციური ნორმების შეცვლას ითვალისწინებს. კერძოდ, მმართველი გუნდი პირველი მოსმენით მიღებული პროექტით, პრემიერ-მინისტრისათვის იმ უფლებამოსილების ჩამორთმევას გეგმავს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება მთავრობის ნდობის საკითხს „მიაბას". ამასთან, ამავე პროექტის გათვალისწინებით, პარლამენტის მიერ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის მიუღებლობა, უნდობლობის გამოცხადებად ჩაითვლება.

აღნიშნული პროექტი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონტროლსაც ეხება. კერძოდ, პროექტის გათვალისწინებით, კონსტიტუციაში რჩება პრეზიდენტის ვალდებულება, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის ხუთი წევრით განახლების შემთხვევაში, პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობა წარუდგინოს. ეს ის ნორმაა, რომელიც კონსტიტუციაში ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აღარ იარსებებდა.

**კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები

● კბილაშვილს სიზმარში თეთრებში ჩაცმული კაცი გამოცხადებია და უთქვამს, ბაჩო ახალაიას პოლიტპატიმრის სტატუსი უნდა მისცეო.

● სულ გალოთდა ეს საცოდავი. ქალბატონო გიული, დროზე ჩოუდგით ამპულა, თვარა დეიღუპავს თავს და გააჩანაგებს ოჯახს!

● სპორტის სასახლეში ისეთი შინაურული გარემო იყო მარგველაშვილი ჩუსტებით მივიდა.

● იცით მეგობრებო, მე თუ მკითხავთ, პარლამენტის მიერ კანონების მიღების დროს საჯარო დაგინება უნდა ხდებოდეს! (ქალი დეპუტატები ალტერნატიულად,ან დაიგინებენ ან დაიწყევლებიან).

● ცუდია, როცა სიტყვა „პროსტიტუცია", ქვეყნის მთავარ კანონს რომ გაგონებს კაცს.




● მხოლოდ ერთი მინდა: პარლამენტი გახდეს სასწრაფოდ ლეგიტიმური, სხვა მხრივ ვიცი არაფერი შეიცვლება, ვინც არ უნდა მოვიდეს. შენ მეტყვი, რომ გიორგი იბრძოლებს ვადამდელისათვის? ვერ მეტყვი, თვითონ არ იძახის და. ნინომ შეიძლება იბრძოლოს, რატომ მივცე ხმა მარგველას, თუ აპრიორი ვიცი, რომ ჩემი დაკვეთის შესრულებსთვის არ იბრძოლებს? მეორე, ნაცებს რომელი ურჩევნიათ?

● მოკლედ ვინც გასათხოვარ, გაუთხოვარი ხართ, ყველამ იზრუნეთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე და საპარლამენტო სიაში მოხვედრაზე.....

ამ პარლამენტში მე მგონი გასათხოვარი აღარავინ დარჩა; ჩაფიძე გათხოვდა, ახლა მიროტაძე თხოვდება...

მოკლედ ამ პარლამენტმა თავისი ფუნქცია ამოწურა, ამიტომ.... ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიიიიი!..

● კაცთა გაკერპებას თავი დავანებოთ და შევამჩნევთ, თუ როგორ მიდის მიზანმიმართულად იგივეს „შენება", რაც ბიძინას ხელშეწყობით დავანგრიეთ. ეს კაცი ველარ უძლებს დასავლეთის და ოცნებაში ჩანერგილ ლიბერასტ- პედარასტების ზეწოლას. მას მიხმარება სჭირდება.

ჰოდა, თუკი გონიერებას მოვუხმობთ და გადავხედავთ, რა „გაკეთდა" დემოკრატიის სახელით ამ ბოლო დროს და რა ხარისხით „აღსდგა" სამართლიანობა, წესით, სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს ერმა.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

**სპეციალური წარმომადგენელი**

# საქართველოსთვის ამ ეტაპზე პრინციპულად მიუღებელია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან შეხვედრის შემდეგ „იტარ ტასს„ განუცხადა.**

**— ეს პრინციპულად მიუღებელია, რადგან ჩვენთვის ეს ეგრეთ წოდებული ახალი რეალიების აღიარება იქნება. საქართველო ამაზე არ წავა. ჩვენი ქვეყანა არაერთხელ დაშლილა, მაგრამ ჩვენ მოვედით დღევანდელ დღემდე, —** განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

„იტარ ტასთან" საუბრისას რუსეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ასევე განმარტა ქართული მხარის გადაწყვეტილება სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობის შესახებ. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მარტივი არ იყო.

— ჩვენ გვყავს პოლიტიკოსები, რომელიც ამ გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ. მაგრამ არ გვინდა პოლიტიკის სპორტთან დაკავშირება. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ოლიმპიური თამაშები მშვიდობიანად ჩატარდეს, ექსცესების გარეშე, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

რაც შეეხება რუსეთის მხარეს, მისმა წარმომადგენელმა გრიგოლ კარასინმა განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი, რომელიც გააზრებულად, თუმცა რთულად იქნა მიღებული, გადახედვას არ დაექვემდებარება, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა რუსეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ.

ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ ასევე განაცხადა, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად საქართველოში პოლიტიკურმა გამბედაობამ უნდა გაიმარჯვოს.

— ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ისევ სააკაშვილის აგრესიული რეჟიმის დროს შექმნილი ძველი სტერეოტიპები მუშაობს და საქართველოს ხელისუფლება ჯერ ვერ ახერხეს ამ მტრული მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, არამედ რუსეთზეც, — აღნიშნა კარასინმა და დასძინა, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ქართველი პოლიტიკოსებისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია მოახლოებული არჩევნების წინ.

მისივე განმარტებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო საზოგადოების წევრები ხდებიან და დადგება დრო, როდესაც ბევრი ქართველი პოლიტიკოსი დათანხმდება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთს შორის რეგულარული ავიამიმოსვლა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში აღდგეს.

**ინტერპრესი**

**ღია წერილი**

# საზოგადოებრივი მაუწყებლის თავკაცს, ბატონ თამაზ ტყემალაძეს

**ბატონო თამაზ! სამართლიანად და დროულად მიმაჩნია გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანიდან საზოგადოება აღარ მოშხამონ ცოცხოსანი „ნაცი-ბაცების" თავხედურად მოძალადე იდეოლოგებმა — ეკა კვესიტაძემ და დავით პაიჭაძემ.**

დარწმუნებული ვარ, რომ დამყაყებული ატმოსფეროს ამგვარი განიავება (ძალზე სასურველია ეგრეთ წოდებული სამეურვეო საბჭოს განიავებაც),წალმართად წაადგება ჭეშმარიტად გამორჩეულ და ოდითგან პირველად წოდებულ იმ არხს, რომლის გულმართალ მემატიანეობაში შენთან — მრავალი მამულისშვილური, მათ შორის სოფელ მერიას შესახებ დაუვიწყარი ანალიტიკური გადაცემის ავტორთან — და ჩვენს სხვა კოლეგებთან ერთად, კნინი წვლილი მეც შევიტანე.

უღრმესი პატივისცემით
**ალექსანდრე შენგელია,**
ბეჭდური და ელექტრონული მედიის ვეტერანი,
საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ტელერადიოკომიტეტის საუკეთესო გადაცემათა ყოველწლიური კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.
19.09. 2013

ჩემი საკონტაქტო ტელეფონია: 0431 25-08-08.
მობილური: 597-640-880.

**ინფორმაცია**

# შვიდმა არასაპარლამენტო პარტიამ ბიუჯეტიდან 150-150 ათასი ლარი მიიღო

**როგორც „ინტერპრესნიუსისთვის„ ცესკოდან გახდა ცნობილი, პარტიებს აღნიშნული თანხა 18 სექტემბერს გადაერიცხათ. თანხების მიღებას არასაპარლამენტო პარტიებიც ადასტურებენ.**

**საუბარია იმ ფინანსურ რესურსზე, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, პარლამენტს მიღმა დარჩენილი პარტიებისთვის განისაზღვრა და შესაბამისი ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონშიც შევიდა. კერძოდ, ივლისის ბოლოს, პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილება მიიღო, რომლის თანახმად, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე შვიდ საარჩევნო სუბიექტს, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილი არ არიან, ერთჯერადად, საბაზო დაფინანსების ოდენობის ნახევარი, ანუ 150-150 ათასი ლარი უნდა მისცემოდათ. ეს სუბიექტები არიან: „ქრისტიან-დემოკრატებისა" და „ევროპელი-დემოკრატების კოალიცია, „ახალი მემარჯვენეები", „ქართული დასი", „თავისუფალი საქართველო", „ლეიბორისტები", „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის". ჯამში მათთვის 1 მილიონ 50 ათასი გამოიყო.**



**ამასთან, ამავე ცვლილებების ფარგლებში დაფინანსება დაიმატეს პარლამენტში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა. კერძოდ, კანონში შეტანილი ცვლილებებით, მათ საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში ახალი კომპონენტი ჩაიდო და წელიწადში დამატებით 300-300 ათასს ლარს პარლამენტში ფრაქციის შექმნის გამო მიიღებენ, თუმცა, ეს ერთჯერადი თანხა არ არის და 12 თვეზე ნაწილდება. გარდა ამისა, კანონში განხორციელებული ცვლილებებით, გაორმაგდა საბაზისო დაფინანსება - ის 150 ათასი ლარიდან 300 ათას ლარამდე გაიზრდა. ეს ზრდა 14 კვალიფიციურ სუბიექტის ბიუჯეტზე აისახება.**

**წკეპლიკა**

# „მითხარ, სად გაიზარდე, რომელ დედის უბეში"...

**გაიგეთ, ხალხო? მოისმინეთ, ხალხო? ნახეთ, ხალხო? „ივანიშვილს რკინიგზა ჭორვილას საცალფეხო ბილიკი ხომ არ ჰგონიაო" — განაცხადა ტელეეკრანიდან მორიგი მეტყველებითი „მარგალიტის" გადმონათებით ჯერ კიდევ პრეზიდენტმა (თუმცა, ორმოციოდე დღის დარჩენით) მიხეილ სააკაშვილმა.**

მაგის უტაქტო წამონასროლებს ვინ არს, რომე არ ისმენდეს, მაგრამ ამ ჯერზე მართლაც საკუთარ ენა-პირსაც აახტა. ამგვარი რამ როგორ უნდა გაგექცეს, თანაც ასეთი დიაპაზონით, ასე საჯაროდ (რაიც ტელეარხის საინფორმაციო გადაცემას ახლავს), შენი ქვეყნის პრემიერზე, როგორ პირად დამოკიდებულებაშიც არ უნდა იყო მასთან? ან სოფელთან მაინც რა გინდოდა, ჭორვილასთან, შეურაცხყოფისა და დამცირებისათვის რომ გაიმეტე? სად გასწავლეს ეგეთები, შე სამუნივერსიტეტგამოვლილო?..

ესე ამბავი, „ჩემგან ნათარგმანევი", 15 სექტემბერს მოხდა, როცა მიხეილ გრძელომ, თბილისის მერთან გიგი უგულავასთან ერთად, ჯერ „მიწაზე", მერე კი ჰაერიდან (ვერტმფრენიდან) განიხილეს-გააანალიზეს დედაქალაქში შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის შეჩერებისა თუ დაკონსერვების საქმე.

სწორად გამიგოს მკითხველმა — არ ვეხები პრინციპულ მხარეს, ეგებ მართლაც შეცდომაა ასეთი პროექტის გაყინვა (შეცდომები თუ გადაცდომები, ჩემი „რიგითი" თვალთახედვით, არც ახალ ხელისუფალთ აკლიათ), ეგებ მართლაც სასარგებლო იყოს თბილისში შემოვლითი რკინიგზის გაყვანა, ოღონდ ეს მეორე მხარეს უნდა უმტკიცო გაშლილი გეგმა-პროექტ-ქაღალდებით და არა მე (როგორც ამას ეკრანიდან — მიწაზე... თუ ცაში — აკეთებდა დედაქალაქის თავი), პროექტის შემჩერებელთა არგუმენტებიც უნდა მოისმინო და ტელემაყურებელს მერე უნდა მიმართო საგნის ირგვლივ, თან ეს ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს.

მე ვეხები პრეზიდენტის (ჭიაყელასავით გაწელილი პრეზიდენტის) პიროვნებას, სახელმწიფოებრივ „სიბრძნეს", უტაქტობას, წინგაუხედაობას, ენის წაგრძელებას (თავისი „გრძელოობის" შესაბამისად), ისტერიულობას, თავდაუჭერლობასა და „სიტყვადაუჭერლობას", რომელმაც შარშანდელი პირველი ოქტომბრის მარცხის შემდეგ მთელი ერთი წლის სიგრძეზე არც ერთი შინა თუ გარე მივლინება, მყინვარწვერზე აღოლების ჩათვლით, არ გაუშვა ისე, რომ ახალი ხელისუფლება და პირადად პრემიერი ბიძინა ივანიშვილი არ დაემუნათებინა, არ გაეკრიტიკებინა ან უფრო მეტი...

...სიყმაწვილეში წაკითხულ „ბილიკებიდან ლიანდაგზე" თბილად წამომაგონდება ხოლმე (კალამკურთხეული ნიკო ლორთქიფანიძისა). რკინიგზიდან ბილიკზე (პირიქით!) ქვეყნის ჭვალად „კურთხეულმა" მიხეილ სააკაშვილმა გადამრთო...

**ბერდია ბედოიძე**

№181. შაბათი, 21 სექტემბერი, 2013 წელი.

# მეორე ტურის მოლოდინში

**ძალიან დიდი ვნებათაღელვა და მოლოდინია საქართველოში. ერთის შეხედვით პატარა საქართველოში, სადაც არამც თუ ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა ვერ დადგინდა, პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვიც კი საკმაოდ კოლოსალურია.**

**ელოდებიან ოქტომბრის თვეს. ელოდება ყველა. დიდი, თუ პატარა. მდიდარი, თუ მაშვრალი. ნაცი, თუ ქოცი. მოკლედ რომ ვთქვა, მთელი საქართველო, ევროკავშირი, ნატო, ნაურუ და ვანუატუც კი ოქტომბრის მოლოდინშია.**

სწორედ ამ მიზეზის გამო წერილისთვის სათაურად სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ დადებული ერთი სტატუსი „პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი – ახლა უკვე ჟოლოს არომატით“ მინდოდა დამერქმია და იმ კანდიდატებზე „მესაუბრა“, რომლებსაც პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსი არა ტრიბუნისთვის, არამედ უბანში მეზობლებთან ლარიანი არყის დალევისთვის სჭირდებათ.

ვაპირებდი წერილის დაწერას, რომელშიც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე უნდა მესაუბრა. დაწყებულიც მქონდა და სწორედ ამ დროს ხელთ ჩამივარდა „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ მიერ ჩატარებული საკმაოდ საინტერესო კვლევის შედეგები, რომლებიც სხვადასხვა ექსპერტთა მოსაზრებებთან ერთად მინდა შემოგთავაზოთ. ამ მონაცემებმა წერილი ფელეტონ–სატირის ნაცვლად, საკმაოდ სერიოზულ სტილში გადაწყვიტა.

შესაძლოა, „ქართული ოცნების“ და ნაციონალების ზოგიერთმა მომხრემ ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებში ბურჯანაძის მიმართ მიკერძოება დაინახოს, მაგრამ შედარებით ნეიტრალური და ობიექტური დამკვირვებლის აზრით, ეს მონაცემები გაცილებით უფრო ახლოს დგას რეალურ სურათთან, ვიდრე წინა თვეებში გამოქვეყნებული ციფრები, როგორც NDI-ს, ისე “ქართული ოცნების“ კვლევის შედეგებში.



ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, თუ არსებული ტენდენცია შენარჩუნდა, პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს მეორე ტურის ჩატარება. ჩვენი აზრით, ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებსაც უნდა ესმოდეთ ეს და არ უნდა შეეცადონ ხელოვნურად სიტუაციის გამწვავებას, მათ შორის არჩევნების დროს სხვადასხვა მანიპულაციების საშუალებით, რადგან ეს ძირს გამოუთხრის არჩევნების სანდოობას და ლეგიტიმურობას.

* * *

**შალვა ალავიძე, პოლიტიკური მარკეტოლოგი: „ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი დღეს ასე ისმის საქართველოში – აჩრდილი დადის ქვეყანაში, აჩრდილი ბურჯანაძისა. განა რას უნდა დავაბრალოთ პარლამენტის მხრიდან პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამარტივების მორიგი მონდომება? ამდენი ხანია იმპიჩმენტზე ხმა არ ამოუღიათ, ვინც საიმპიჩმენტო იყო, იმას დასავლეთის ხათრით თუ თავიანთი უნიათობით ძვრა ვერ უქნეს და ახლა გააქტიურდნენ ამ მიმართულებით. ვინც ეს ისურვა, ყველას დასცინა პოლიტიკურმა ელიტამ – ეს როგორი არაკომპეტენტურები ხართო, რა საჭიროა მიშას გაიმპიჩმენტება, იყოს, რას აშავებსო. ჯერ არარჩეულ პრეზიდენტს ებრძვიან უკვე პარლამენტში, შიშმა დაისადგურა მამაცი პარლამენტარების გულებში. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ გაიმართა, ბევრი მათგანი ხომ აღარავის გაახსენდება, მათ შორის არც ბიძინა ივანიშვილს. არადა, „ოცნების“ კვლევით მარგველაშვილი იმარჯვებს პირველივე ტურშიო და დავიჯეროთ, მარგველაშვილს ებრძვიან ასე გააფთრებით პარლამენტის კულუარებში?! აბა, მარგველაშვილი იმარჯვებსო?! ესენი, მგონი, ამ წესიერ ფილოსოფოს კაცს ებრძვიან და როგორც კი აირჩევენ, ეგრევე გააიმპიჩმენტებენ.**

**საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიები ფინიშის სწორზე იწყებს გასვლას. ზოგიერთი პოლიტიკოსი რეიტინგულ ზრდას განიცდის, ზოგიერთი რეიტინგულ კედელს აწყდება, ზოგიერთი კი ისევ თავის წვენში იხარშება.**

**ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა ახალი სოციოლოგიური კვლევები გაავრცელა, სადაც პოლიტიკოსთა საპრეზიდენტო რეიტინგები ასე გადანაწილდა:**

| | |
|---|---|
| **გიორგი მარგველაშვილი** | **29,4%** |
| **ნინო ბურჯანაძე** | **27,9%** |
| **დავით ბაქრაძე** | **9,4%** |
| **შალვა ნათელაშვილი** | **2,3%** |
| **გიორგი თარგამაძე** | **1,8%** |

**კვლევა აგვისტოს პირველ ნახევარში შესრულდა და 3400 კაცი გამოიკითხა.**

**აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ოცნების მიერ დაკვეთილი სხვა კვლევის შედეგებით მარგველაშვილი პირველივე ტურში აგროვებდა 53% და ახერხებდა გამარჯვებას. ამ კვლევით კი აშკარაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია.**

**როგორ შეიძლება ერთი და იგივე პერიოდში ჩატარებული კვლევები ასე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ეს მხოლოდ ქართულმა სოციოლოგიამ იცის. „ქართული ოცნება“ ცდილობს თავისი კანდიდატი პირველივე ტურში გააძვრინოს, თორემ რა იქნება მეორე ტურში, ღმერთმა უწყის. მედიაში უკვე დაიწყო კომპრომატების და ძველი ამბების წამოწევა, ზოგი ბინძური და ზოგიც არაფრისმთქმელი. კომპრომატების სახის მქონე ინფორმაციებს, როგორც ჩანს ყველა ჯგუფი ამზეურებს, თუმცა ზომიერების დაცვას მაინც ყველა ცდილობს. ვნახოთ, რა იქნება ფინიშზე, თუმცა განსაკუთრებულ ლაფის სხმას არ ველოდები. ერთი, რაც შეუიარაღებელი თვალით ჩანს, ყველაზე დიდი ნადირობა ნინო ბურჯანაძეზე მიმდინარეობს, როგორც ნაცების, ასევე ოცნების მხრიდან. ორივე ხვდება, რომ მათთვის ყველაზე არაკომფორტული მეტოქე სწორედ გაბრაზებული ბურჯანაძეა (სალომე ზურაბიშვილიც კი ბურჯანაძეს აბრალებს, საპრეზიდენტო არჩევნებში რომ არ დაარეგისტრირეს)“.**

ამ გაზეთის მკითხველთა უმრავლესობა პირველი ოქტომბრის შემდეგ „გაჯიპებული“ ზოგიერთი ყოფილი „ცალ-ცალ კალოშიანისგან“ განსხვავებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის. მაღაზიებში თავად ყიდულობს პროდუქტს და ოჯახის ბიუჯეტს თვიდან თვემდე დიდი სიფრთხილით ანაწილებს.

ამიტომ მათ ყველაზე უკეთ იციან ის განწყობები, რაც ელექტორატის უდიდეს ნაწილს აქვს და დასკვნებს არა ე.წ. „ცნობილი მკვლევარი ორგანიზაციების“ მიერ შემოფრქვეულ ციფრებზე დაყრდნობით, არამედ მწარე რეალობიდან გამომდინარე აკეთებენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის დასკვნები, რომლებსაც პოლიტოლოგი გიორგი ვეკუა გვთავაზობს.

**გოგი ვეკუა, პოლიტოლოგი: „კვლევამ კიდევ რამდენიმე საინტერესო შედეგი აჩვენა. ციფრების ანალიზი გვაჩვენებს, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, მათივე შეფასებით, არ გაუმჯობესებულა. გამოკითხულთა 64% ამ აზრს იზიარებს, 19,9%-ის ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდა (მნიშვნელოვნად ან მცირედით), ხოლო 12,4%-ისთვის – გაუარესდა.**

**ამავე დროს, ჩანს, რომ ნაციონალების ხელისუფლებიდან წასვლის ეიფორია იმდენად დიდი იყო, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმედიანად არის განწყობილი, მიუხედავად გასულ თვეებში მომხდარი სერიოზული გულგატეხილობისა. გამოკითხულთა 62,1% თვლის, რომ ქვეყანა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის, ხოლო 53,3%-ს იმედი აქვს, რომ ერთი წლის შემდეგ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმედიანად ყოფნა საერთოდ ქართველთა დამახასიათებელი თვისებაა, და წინა წლებში იმედები კიდევ უფრო მეტი იყო.**

**ძალზე საინტერესოა პასუხების განაწილება შემდეგ შეკითხვაზე: თქვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისთვის რომელი გზა იქნება უფრო ეფექტური? გამოკითხულთა 44,2% აცხადებს, რომ ეს არის ნატოში გაწევრიანება, 27,1% მხარს უჭერს ნეიტრალიტეტს, ხოლო 18,1% რუსეთთან მოკავშირეობის მომხრეა. თუ ამ ბოლო ორ მონაცემს შევკრებთ, გამოდის, რომ ნატოში გაწევრიანების მომხრეების და მოწინააღმდეგეების რაოდენობა პრაქტიკულად თანაბარია, რაც ეწინააღმდეგება ქართულ მასმედიაში ფართოდ გავრცელებულ მითს, თითქოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ნატოს პანაცეად აღიქვამს.**

**გამოკითხვაში მონაწილეებს ასევე დაუსვეს შეკითხვა 17 მაისის მოვლენების შესახებ. 78,7%-მა მოიწონა ე.წ. სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერი აქციის მოწინააღმდეგეთა რეაქცია, ამავე დროს, 51,5%-მა უარყოფითად შეაფასა სასულიერო პირთა მოქმედება იმ დღეს. ამ შედეგში, როგორც ჩანს, აისახა მასმედიაში გაჩაღებული კამპანია სასულიერო პირების წინააღმდეგ, რომლებსაც უწოდებდნენ „ტაბურეტიანებს“, მოძალადეებს და ა.შ. თუმცა, იმავე გამოკითხულთა უმეტესობა (57,4%) წინააღმდეგია 17 მაისის აქციაში მონაწილე სასულიერო პირთა დაკავების“.**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მართლაც საინტერესო შედეგებია. საინტერესო ალბათ პირველ რიგში იმ პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებიც თავიან–ფეხებიანად ჩართულნი არიან საპრეზიდენტო არჩევნების ბატალიებში. ჩართულნი არიან და თავადაც, საკუთარი ძალებით აწარმოებენ გამოკითხვებს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, ზედა ეშელონებამდე მხოლოდ შელამაზებული ინფორმაციები მიდის. ასევე ძალიან საჭიროა რიგითი ამომრჩევლისთვისაც, რადგანაც ეს კვლევა, ისევე როგორც სხვა მსგავსი ღონისძიებები, ელექტორატის ინფორმირებისთვის არის განკუთვნილი. მოქალაქეებს ხშირად ჰგონიათ, რომ ყველა ის გაკეთებული სიკეთე, რითიც არსებული, თუ ყოფილი ხელისუფლების ასარჩევი წარმომადგენელი ტრაბახობს, სადღაც აქვეა, რამდენიმე კილომეტრში და მათთანაც მალე მივა. სამწუხაროდ კი რეალობა სულ სხვაა.

**წერილს** კი მცირე ინფორმაციით დავამთავრებ:

ოქტომბერი (ლათ. October) არის გრიგორიანული კალენდრის მეათე თვე. ოქტომბერში 31 დღე-ღამეა.

სახელი ეწოდა იმ ფაქტის გამო, რომ იგი იყო მერვე თვე რომაული კალენდრისა (ლათინურად octem – რვა), როდესაც წელი იწყებოდა მარტში.. ქართული წარმართული კალენდრით – სთვლისა, ძველქართული სახელწოდებაა ღვინობისთვე.

ოქტომბერი არის შემოდგომის თვე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და გაზაფხულისა – სამხრეთ ნახევარსფეროში.

ოქტომბრის ზოდიაქოს ნიშნებია სასწორი და ღრიანკალი. ოქტომბერი ყოველთვის იწყება კვირის იმავე დღეს, რითაც იანვარი, გარდა ნაკიანი წლისა.

დაველოდოთ ოქტომბერს!

**გია გაბრიჭიძე**

## მეგობართა სახელით

# ჭკუის დარიგებას, რა თქმა უნდა, არ გაკადრებთ...

## ღია წერილი ბატონებს თამაზ წივწივაძეს და რევაზ მიშველაძეს

**ჩემო თამაზ, ჩემო რეზო,**

**ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ურთიერთმიმართვის სხვა ფორმა არ გამოგვიყენებია და დარწმუნებული ვარ, ასევე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე. ამას გვავალდებულებს ჩვენი ერთად გატარებული ბავშვობა; ურთიერთსიყვარულით განვლილი ახალგაზრდობის წლები; აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობის მიუხედავად, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა; თქვენს დედმამიშვილებთან ჩემი განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება და მრავალი სხვა. ეს ზოგადად. ახლა კი შეგახსენებთ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების რამდენიმე ეპიზოდს, რომლებმაც გადამაწყვეტინეს და დამავალდებულეს ამ წერილის დაწერა.**

**თქვენთან მეგობრულმა ურთიერთობებმა (ჯერ კიდევ ქუთაისიდან!) გამაბედვინა ჩემი პირველი კრიტიკული წერილების გამოქვეყნება „ლიტერატურულ საქართველოში“, რომლებმაც ფარდა ახადეს ხელისუფლებაში „მოღვაწე“ ცალკეულ პირთა გაუამრთლებელ, ქვეყნის საზიანოდ გადადგმულ ნაბიჯებს. სხვა გაზეთები მაშინ ასეთ წერილებს უბრალოდ არ აქვეყნებდნენ;**

**რა დამავიწყებს იმ პერიოდს, როცა ორივე თქვენგანი (ძალიან ხშირად მეც თქვენ გვერდით ვიყავი), რომ იტყვიან, ხელებდაკაპიწებულები დადიოდით ერთი ინსტანციიდან მეორეში და სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდით ცალკეულ მეწარმეებს, ყველაზე მაღალი რანგის ჩინოვნიკებს და სხვ., რათა ბოლომდე მიგეყვანათ თქვენი დიდებული ჩანაფიქრი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე დიდი გალაკტიონის საცხოვრებელი ბინის ბაზაზე, მისი სახლ-მუზეუმის შექმნისთვის. დარწმუნებული ვარ, ორივე თქვენგანის დიდი ძალისხმევის გარეშე ამ მძიმე წლებში ასეთ დიდ მამულიშვილურ საქმეს, ალბათ ვერავინ მოაბამდა თავს;**

**ჩვენი ძმობის დასტურია აგრეთვე, თქვენ მიერ ჩემი მისამართით გამოთქმული მოგონებები და საუკეთესო სურვილები, რომლებიც სიამოვნებით და სიამაყის განცდით შევიტანე ჩემი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა და დასის ჟურნალ „რაინდის“ საგანგებო გამოშვებაში (2013 წ. ივნისი);**

**ორივე თქვენგანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთმანეთს პირველობას არასდროს არ ექიშპებოდით, რადგან თავადაც კარგად მოგეხსენებოდათ, რომ თქვენ-თქვენ საქმეში, რასაც მთელი ცხოვრება მიუძღვენით, ისედაც გამორჩეულები იყავით;**

**ჩემო რეზო, შეუფასებელია შენ მიერ დახარჯული ენერგია, დრო, სულიერი ემოციები და ხალხისთვის მიყენებული სიამოვნება, რაც შენ ჩააქსოვე ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ ჩატარებულ მრავალ ათეულ ღონისძიებაში. განსაკუთრებით, იმ ბედნიერი მოსწავლეების სახეები მახსენდება, როცა შენ, როგორც ჟიურის თავმჯდომარე, პირადად გადასცემდი შენი ავტოგრაფებით დამშვენებულ საკუთარ წიგნებს, ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ ორგანიზებულ, მოსწავლეთა ოლიმპიადებში გამარჯვებულ ახალგაზრდებს. არ დამავიწყდება აგრეთვე, შენი ემოციური გამოსვლები ჩვენ მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე მარაბდის, კრწანისისა და წიწამურის მემორიალებთან, მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონებში და სხვა;**

**ჩემო თამაზ, ჩემო რეზო, კიდევ ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, ამჯერად ვიკმარებ და გადავალ მთავარ სათქმელზე. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი და არც არავის ვკითხავ, რა მოხდა თქვენს შორის ასეთი, რატომ გადაეკიდეთ ასე მწარედ ერთმანეთს ერთი მიწა-წყლისა და ერთი თაობის ორი მეგობარი? რატომ აძლევთ საბაბს და უფლებას თქვენს ე.წ. მხარდამჭერებსა და ვითომგულშემატკივრებს, ყველაზე უხეში ფორმებით დაგაპირისპირონ ერთმანეთს? რატომ არ უსპობთ „სულიერ საზრდოს“ ამდენ არამკითხე მოამბეს, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ თქვენი მისამართით გამოთქმული ათასი ბინძური ჭორის გავრცელება-ტირაჟირებაში?**

**ჭკუის დარიგებას, რა თქმა უნდა, არ გაკადრებთ, მაგრამ როგორც თქვენთვის ახლო ადამიანი ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ უახლოეს პერიოდში კვლავ გიხილავთ ხელიხელჩაკიდებულებს, მრავალი ეროვნული საქმის მოგვარების ავანგარდში. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანას გლობალიზაციის მარწუხებიდან მხოლოდ ერის ღირსეულ შვილთა თანადგომა გადაარჩენს.**

**აბა თქვენ იცით! ღმერთმა დაგლოცოთ!**

სიყვარულით და პატივისცემით,

თქვენი **ანზორ ბაბუხადია**



# დაცვის პოლიციის ტენდერებით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს!

**„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესების შესახებ ყველა ამბობდა, თუმცა კონკრეტული მაგალითების შესახებ ნაკლებად ლაპარაკობდნენ, რადგან თუკი რომელიმე ბიზნესმენი გაბედავდა რამის გაპროტესტებას, მას ან უცხოეთში უწევდა გაქცევა, ან ნარკოტიკებისა თუ იარაღის ტარების საბაბით საპყრობილეში აღმოჩნდებოდა, იქიდან თავის დასაღწევად კი თუ რამე გააჩნდა, ყველაფრის გაყიდვა-გაჩუქება უწევდა.**

**გასულ წლებში სხვადასხვა უწყებების მიერ გაუმჭვირვალე ტენდერებით „ათვისებულ“ საბიუჯეტო ხარჯებს მართალია, სამართალდამცველი უწყებები უკვე სწავლობენ, მაგრამ ყველა საქმის შესწავლას ალბათ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. მანამდე კი იმ სქემას შემოგთავაზებთ, რომლის მეშვეობითაც ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკებთან დაახლოებულმა პირებმა საკუთარი ბიზნესების აწყობა შეძლეს.**

ხელთ ჩაგვივარდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დაცვის პოლიციის ავტომანქანების მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერებში წლების მანძილზე ერთი კომპანია იმარჯვებდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კომპანია მხოლოდ დაცვის პოლიციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობდა და იმარჯვებდა კიდეც, სხვა უწყებების ტენდერებს კი რატომღაც არ აღიარებდა და თუნდაც წარუმატებლად არც ერთ სხვა ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია.

დაცვის პოლიციის ტენდერების შესახებ ინფორმაცია ავტოსერვისის სხვა კომპანიებსაც აქვთ, რადგან ამ უწყების ტენდერებში მონაწილეობა მათაც მიუღიათ, თუმცა — წარუმატებლად. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყანაში შიშის სინდრომი გაქრა, ავტოსერვისის არც ერთმა კომპანიამ ღიად საუბარი არ ისურვა, თუმცა ის სქემა, რომლითაც ერთი კომპანია ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, მათთვის კარგად არის ცნობილი.

სქემა კი საკმაოდ მარტივია. როგორც აგვიხსნეს, მაგალითად, როდესაც ნახევარმილიონიან ტენდერში კომპანია „იმედი ავტო 5“ პირველად ფასად 250 ათას ლარს ასახელებს, მასთან კონკურენციას უკვე აზრი ეკარგება, რადგან ნახევარ ფასად მომსახურების გაწევა კომპანიის ზარალზე წასვლას ნიშნავს.

**„მაგალითად, სიჩქარეების კოლოფების შეკეთებაში თუ დაცვის პოლიციას გათვალისწობებული აქვს 6 ათასი ლარი, „იმედი ავტო 5“-ს მითითებული აქვს, რომ ამ მომსახურებას 2 ათას ლარად შეასრულებს. თუ ძრავის შერემონტება ჯდება 1000-ლარზე მეტი, შეთავაზებული აქვთ 0 ლარი. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე განმეორდა, ამიტომ დავინტერესდით, რაში იყო საქმე და ტენდერებთან დაკავშირებით ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია მოვიძიეთ.**

აღმოჩნდა, რომ მაგალითად 2011 წელს დაცვის პოლიციას ხუთი ტენდერი აქვს გამოცხადებული და აქედან „იმედი ავტო 5“-ს ოთხი ტენდერი აქვს მოგებული. გარდა ამისა, „იმედი ავტო-5“-ს წინა ხელისუფლების დროს არც ერთ სხვა ტენდერში არ მიუღია მონაწილეობა. სხვა ორგანიზაციების მომსახურება მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გადაწყვიტა“ — განაცხადა ერთ-ერთი ავტოსერვისის ხელმძღვანელმა, რომელმაც არც საკუთარი და არც მისი კომპანიის დასახელება არ ისურვა.

ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის თანახმად, „იმედი ავტო 5“ ტენდერებში მესამე წელია, მონაწილეობს. 2011 და 2012 წლებში მხოლოდ დაცვის პოლიციის ტენდერებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

შევეცადეთ, გაგვერკვია, ტენდერში წარუმატებლობის შემთხვევაში რა ზარალს განიცდის კომპანია. აღმოჩნდა, რომ თუ მაგალითად, ნახევარმილიონიან ტენდერში მონაწილეობ, სატენდერო თანხის 10% აუცილებლად უნდა გქონდეს ანგარიშზე და ათი დღის განმავლობაში ამ თანხით სარგებლობის უფლება არ გაქვს. წაგების შემთხვევაში ზარალი დაახლოებით 200-300 ლარია. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აშკარაა, რომ „იმედი ავტო 5“ მონაწილეობდა მხოლოდ იმ უწყების ტენდერებში, რომლის მოგების გარანტიაც წინასწარ ჰქონდა მიღებული. ასეთი გარანტიის მიღება კი შეუძლებელია ვინმესთან გაურიგებლად.

ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტშია განთავსებული და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი მიღება.

**„შეუძლებელია, ჯიპის ძრავა შეაკეთო და მომსახურების ფასად 0 ლარი გქონდეს მითითებული. „შკოდაზე“ თუ 6 ათასი ლარი ღირს სიჩქარეების ახალი კოლოფი, „იმედი ავტო 5“-ს 1000 ლარი აქვს მიითებული. „მერსედესის“ ძრავის ამოღება და ჩადგმა, უწყებას 200, ნაწილების ფასი კი 1800 ლარად აქვს შეფასებული, ტენდერში მონაწილე კომპანიას კი მომსახურებისა და ნაწილების ფასად 0 ლარი აქვს მითითებული. გამოდის, რომ ეს საჩუქარია ან... კითხვები ჩნდება — უცვლიან თუ არა იმ ნაწილს რეალურად“** — აცხადებს ავტოსერვისის თანამშრომელი.

როგორც აგვიხსნეს, თუ მაგალითად მოახერხე და დაცვის პოლიციაში ვინმეს გაურიგდი, ადვილად შესაძლებელია სულაც არ იყოს ავტომანქანა შესაკეთებელი, მაგრამ დოკუმენტებში მიუთითო, რომ ძვირადღირებული ნაწილების შეცვლა მოხდა და თანხის ათვისება უკვე პრობლემა აღარ არის. შემდეგ როგორ განაწილდება „გაცოცხლებული“ ფული, ეს უკვე სხვა საკითხია.

**უამრავი ავტოსერვისი არსებობს და რომელიმემ 10-დან 3 ტენდერი თუ მოიგო, ეს უკვე საუკეთესო შედეგად ითვლება. დაცვის პოლიციის მიერ გამოცხადებულ ყველა ტენდერს ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კომპანია რომ იგებდა, სავარაუდოდ, არა მხოლოდ კონკურენტი ავტოსერვისების, არამედ ალბათ სამართალდამცველი სტრუქტურების ინტერესის საგანიც უნდა გახდეს.**

მაგალითად, 2012 წლის მარტში გამოცხადებულ ტენდერში „34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისთვის“ დაცვის პოლიციის მიერ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 80 ათასი ლარით, „იმედი ავტო 5“-მა ამ მომსახურებისთვის 52952 ლარი შესთავაზა და შესაბამისად, ტენდერი დაბალი ფასით მოიგო.

2012 წლის იანვარში კი „50100000 — სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“-სთვის დაცვის პოლიციამ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 177 295 ლარი განსაზღვრა, „იმედი ავტო 5“-მა კი ამ მომსახურების 32 ათას ლარად შესრულება შესთავაზა და, ბუნებრივია, ტენდერშიც გაიმარჯვა.

იგივე მომსახურება 2011 წლის დეკემბერში გამოცხადებულ ტენდერში 2017 640 ლარის ნაცვლად 170 ათას ლარად შეასრულა, 2011 წლის ივნისში კი, 167 549-ათასიანი მომსახურება — 21 ათას ლარად.

**მართალია, „იმედი ავტო 5“ 2013 წლიდან სხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც მონაწილეობს, მაგრამ კვლავ დაბალი ფასებით ცდილობს გამარჯვებას, მაგალითად 2013 წლის თებერვალში 175 352-ლარიანი ტენდერი 51000 ლარის შეთავაზებით მოიგო, იმავე წლის თებერვალში სხვა კატეგორიაში გამოცხადებული 502 497-ლარიანი ტენდერი 69 000 ლარით მოიგო. სპეციალისტები განმარტავენ, რომ სრული გამჭვირვალობის პირობებში შეუძლებელია, სატენდერო და შეთავაზებულ ფასებს შორის ასეთი სხვაობა იყოს, რადგან ამ სამუშაოების შესრულება მეხუთედი და მეათედი ფასებით ნამდვილად შეუძლებელია.**

ჩვენ შევეცადეთ რამდენიმე ავტომომსახურების ცენტრში გაგვერკვია, ასეთი მოცემულობის პირობებში რეალურად რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საქმეში კარგად გარკვეული ადამიანები ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებენ, სამაგიეროდ აგვიხსნეს, რომ ეს იყო ძალიან მარტივი სქემა, სადაც აშკარად იკითხება გარიგების კვალი, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა დანაშაულის კვალი სათანადო უწყებებმა ვერც კი აღმოაჩინონ. მაგალითად, ავტომანქანის ზოგიერთი ნაწილი თუ რამდენჯერმეა შეცვლილი, ექსპერტიზას გაუჭირდება დადგენა, 2-ჯერ შეცვალეს ის თუ 3-ჯერ ან 5-ჯერ. თუმცა, მათივე ვარაუდით, დოკუმენტაციის სათანადოდ შემოწმების შემთხვევაში შეუსაბამობების და საეჭვო მომენტების დადგენა საკმაოდ ადვილი იქნება.

**სქემა მარტივია — თუ ავტომანქანას შესაცვლელი აქვს წევის ბუნიკი, რომელიც 45 ლარი ღირს მომსახურების თანხა კი 15 ლარს შეადგენს, შეგიძლია მიუთითო, რომ კონდენციონერის გამაგრილებელი ავზი ან ავტომობილის ქვედა ან ზედა ე.წ. „გიტარაც“ შესაცვლელი იყო, რომლის ფასებიც მომსახურებასთან ერთად 500-600 ლარს შორის მერყეობს. თანხა გადაირიცხება, რეალურად კი 60 ლარის სამუშაო იქნება შესრულებული. ეს სქემა იმ შემთხვევაში მუშაობს, თუ ორი მხარე ერთმანეთთან გარიგებულია. არსებობს ეჭვები, რომ დაცვის პოლიციასა და „იმედი ავტო 5“-ს შორის სწორედ ასეთი სქემები მუშაობდა, თუმცა უკეთესია, თუ შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან ამ საკითხს და არსებობის შემთხვევაში კორუფციულ ფაქტებს გამოავლენენ.**

**ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ საქართველოში წლების განმავლობაში ბიზნესი პოლიტიკას ისე შეეზარდა, რომ შეუძლებელი იყო მფარველების გარეშე ბიზნესში წარმატების მოპოვება. წართმეული და დაწიოკებულ-შეშინებული ბიზნესების შესახებ ახალს უკვე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მაინც, ახალი ხელისუფლება ამ პრობლემას უფრო სერიოზულად შეხედავს და დაპირებულ სამართლიანობას ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომს გახდის.**

**მარიამ თოდაძე**

## ალიან-ჩალიანი



### საქართველოს ეკონომიკა იზრდება

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკა იზრდება. — რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში გაცილებით მაღალი პროგნოზირებადობა იქნება და ამას ძალიან ბევრი ბიზნესმენი ელოდება, თუმცა ის, რომ ჩვენ გვაქვს რეალური ზრდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ეკონომიკა იზრდება და არა მცირდება, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. დღევანდელი ვითარებით, დადასტურებული მონაცემებით, ორი კვარტლის შედეგების მიხედვით ფიქსირდება 1,09 %-იანი ზრდა. ჩვენ ზრდას ველოდებით ბოლო კვარტალშიც, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის 2,5-3 %-მდე ზრდაა მოსალოდნელი. არ ვამბობ, რომ ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია, ჯობდა 6 %-იანი მოლოდინი შესრულებულიყო, თუმცა ეს მაინც მნიშვნელოვანია, — განაცხადა კვირიკაშვილმა ბიზნესის განვითარების პირველ საერთაშორისო ფორუმზე.**

**მისივე განმარტებით, მომავალი წელი იქნება გაცილებით უკეთესი და ამის თქმა დანამდვილებით შეუძლია.**

### შეიქმნება ექსპორტის განვითარების სააგენტო

**მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს ქვაკუთხედი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, -— ამის შესახებ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ექსპო-ჯორჯიაში“ ბიზნესის განვითარების პირველ საერთაშორისო ფორუმზე განაცხადა, რომელიც თავად გახსნა.**

**მისივე განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ ტექნიოლოგიებზე წვდომა ჰქონდეს.**

**— სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს და მომავალი წლის გეგმებში გაწერილია, რომ შეიქმნას ექსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს მცირე და საშუალო ბიზნესზე. ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ჰქონდეს მარტივი წვდომა ახალ ტექნოლოგიებზე, ესაა უმნიშვნელოვანესი, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.**

**მისი თქმით, მცირე და საშუალო ბიზნეს მეწარმეებს გამოცდილებას მსოფლიოში გამოჩენილი ექსპერტები გაუზიარებენ.**

### სასურსათო მაღაზიიდან ვადაგასული პროდუქტი ამოიღეს

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიიდან ვადაგასული პროდუქტი ამოიღო. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მონიტორინგის შედეგად, მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე იჰმ, „ლალი გორგაძის“ სასურსათო მაღაზიაში ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინა.**

**ამოღებული პროდუქტები - ჩიფსი, პელმენი, ხაჭოს დესერტი, ძეხვი დაილუქა და უახლოეს დღეებში განადგურდება.**

### „საქართველოს რკინიგზა“ ბილეთებზე ფასდაკლებას აცხადებს

**„საქართველოს რკინიგზა“ ახალ სამგზავრო ელექტრომატარებელზე თბილისი-მახინჯაური-თბილისის მიმართულებით ტარიფებს ცვლის. ფასდაკლება 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება და ძალაშია 16 სექტემბრიდან 9 ივლისის ჩათვლით.**

**ფასდაკლების დამთავრების შემდგომ ამოქმედდება 2010 წლიდან დადგენილი ტარიფები. I კლასის ბილეთის ფასი 40 ლარის ნაცვლად იქნება 25 ლარი; II კლასის ბილეთის ფასი 23 ლარის ნაცვლად იქნება 18 ლარი;**

**ინტერპრესი**

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

## სატელეფონო ზარები გრძელდება



# ტერაქტი თუ ბოროტი ხუმრობა

**ტელეკომპანიებში „რუსთავი 2"-სა და „იმედში" დღის განმავლობაში რამდენჯერმე შევიდა ბომბის არსებობის შესახებ მორიგი შეტყობინება. რა თქმა უნდა, ორივე ტელეკომპანიიდან თანამშრომლების ევაკუაცია მოხდა. ტელეკომპანიის ეზოდან გაიყვანეს ავტომანქანებიც. ტელეკომპანიის პერიმეტრზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. „რუსთავი 2"-ში გამნაღმველთა სამი ეკიპაჟი მუშაობდა.**

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ 112-ში ზარი გუშინ საღამოსაც შევიდა. „იმედში" კი განგაში დღის განმავლობაში უკვე მეორედ გამოცხადდა. მსგავსი ფაქტი უკვე დაფიქსირდა რამდენიმე დღის წინაც, შეტყობინება თბილისის აეროპორტსაც ეხებოდა.

შსს-ს ინფორმაციით, აქამდე თითქმის ყველა შემთხვევაში ცრუ შეტყობინებების ავტორები არასრულწლოვნები იყვნენ.

ტელეკომპანიების გარდა, თანამშრომელთა ევაკუაცია მოხდა ქუთაისში, პარლამენტის შენობაში. მიზეზი ისევ ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია გახლდათ. ევაკუაციის გამო შეწყდა დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომა.

უკვე ცნობილია, რომ შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა 16 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედში" ნაღმის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორის ვინაობა დაადგინეს. ის 2000 წელს დაბადებული დავით ბ. აღმოჩნდა.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო აწარმოებს.

ცხადია, რომ ზარებს უკვე მასობრივი და კარგად ორგანიზებული ხასიათი აქვს, მოტივი და მიზანი ჯერჯერობით უცნობია. ფაქტია, რომ ორგანიზატორები ქვეყანაში წინასაარჩევნოდ ქაოსური სიტუაციის შექმნას ცდილობენ.

ექსპერტი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ აღნიშნულ ზარებს არ შეიძლება, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს.

**„როგორც ჩანს, მზადდება რაღაც სერიოზული ქმედება. მსგავსი რამ ხდებოდა ლიბანში, ბეირუთში, როდესაც ანალოგიურად, ვითომდა ხუმრობით ხორციელდებოდა ზარები, რის შემდეგაც მოხდა ცნობილი ტერაქტი ბეირუთში",** — აცხადებს მაისაია.

როგორც მაისაია ამბობს, ბეირუთში მსგავსი რამ ორჯერ განმეორდა, ზარები ხორციელდებოდა ყურადღების მოდუნებისა და კომიკური სიტუაციის შექმნის მიზნით, რაც ორივე შემთხვევაში ტერაქტით დასრულდა, ხოლო ორგანიზატორები სირიის სპეცსამსახურები იყვნენ.

**„შეიძლება ვაჭარბებ და ვაზვიადებ, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ის რაც ანონიმურ ზარებთან დაკავშირებით ხდება, ძალიან მაგონებს ისლამისტური სპეცსამსახურების ხელწერას",** — აცხადებს მაისაია.

მისივე შეფასებით, ამგვარად ფიქრის საფუძველს ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აძლევს, როგორიცაა, ე.წ თალიბების კლიპი, რელიგიურ ნიადაგზე შუღლის ჩამოგდების მცდელობა რამდენიმე რეგიონში და საქართველოში ვაჰაბიტური დაჯგუფებების გააქტიურება.

საზოგადოებაში პირველი ზარებისთანავე გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ამ ზარების ორგანიზატორი იყოს „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც არჩევნების წინ ქაოსის შექმნასა და იმის ხაზგასმას ცდილობს, რა უსუსურია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ვახტანგ მაისაია თვლის, რომ იმდენად ასიმეტრიულად აზროვნებენ ნაციონალები, მათგან მსგავსი რამ არ არის გამორიცხული, მაგრამ ამ ზარების უკან კარგად კოორდინირებული, კარგად ორგანიზებული ხელწერა იგრძნობა. ამ ზარებს მაისაია რაღაც მნიშვნელოვანის წინ „მოთელვის პროცესად" განიხილავს.

ვინ შეიძლება იდგეს ამ ყველაფრის უკან არაერთი ვერსია არსებობს. ასევე საინტერესოა, რომელ პოლიტიკურ ძალას შეიძლება აწყობდეს ქვეყანაში ქაოსის შექმნა.

მაისაია ასევე არ გამორიცხავს, რომ **თუკი ქვეყანაში ქაოსი მართლაც შეიქმნა, ეს დაახლოებით სამოქალაქო ომის ტოლფასი შეიძლება იყოს. მაისაია ასევე ფიქრობს, რომ ნაციონალების ისეთ რადიკალურ ნაწილს როგორიცაა სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემი, შესაძლოა, მსგავსი იდეა მართლაც მოუმწიფდეთ თავში, რადგან „მათ დასაკარგი მართლაც ბევრი აქვთ, სააკაშვილის მუქარის შემცველი განცხადებებიც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს",** — ამბობს მაისაია.

მისივე ინფორმაციით, ასევე არსებობს ფაქტები, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" წევრებისა და ჩრდილო კავკასიის ვაჰაბიტური იატაკქვეშა ორგანიზაციის კავშირებზე მეტყველებს.

**„ამ კონტექსტშიც განვიხილავდი საკითხს. რაც მთავარია, საქმის კურსში ჩავაყენებდი ჩვენი პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებსაც, რომ შეესწავლათ, რა ხდება საქართველოში",** — აცხადებს მაისაია.

ექსპერტი თეონა აქუბარდია თვლის, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი პრობლემას და ძალიან მალე გამოავლინეს ზარის ავტორები.

**„ვფიქრობ, რომ ეს არის ვიღაცის ბოროტი ხუმრობა და არ აქვს ინფორმაცია, რა მოჰყვება ასეთ ხუმრობას. როგორც ჩანს, ეს მცირეწლოვნების გართობის საშუალებაა, რაც ძალიან ცუდია",** — აცხადებს აქუბარდია.

თეონა აქუბარდია ხედავს ორგანიზებულობის კვალსაც, თუმცა თვლის, რომ მიზანი უფრო იმ ორგანიზაციებისთვის მუშაობის ხელშეშლას ჰგავს, სადაც ეს ზარები გაისმა.

**„ვიღაცას შეიძლება ჰქონდეს კერძო მოტივი კონკრეტულ მედიასაშუალებასთან, თუმცა „რუსთავის" გარდა დარეკეს „იმედზეც", რომელიც რადიკალურად სხვა პოლიტიკური პლატფორმის გამტარებელია",** — მიიჩნევს აქუბარდია.

მისივე შეფასებით, ამ ორგანიზებულობის უკან ნაკლებად იგრძნობა რომელიმე პოლიტიკური ძალის კვალი, რადგან ხაზი გაესვა იმას, რომ სახელმწიფო ძალიან კარგად და ოპერატიულად რეაგირებს ასეთ ზარებზე.

ექსპერტი გიორგი თავდგირიძე თვლის, რომ დიდი ალბათობით ეს არის ორგანიზებული კამპანია, რადგან წარმოუდგენელია ამდენ მოზარდს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე ჩადენილი საქციელისთვის მათ არ ემუქრებათ მკაცრი სასჯელი.

**„ობიექტები, რომელიც ამორჩეულია, არის მნიშვნელოვანი და იწვევს საინფორმაციო რეზონანსს. სწორედ ეს ბადებს ეჭვს, რომ ორგანიზებულია",** — აცხადებს თავდგირიძე.

როგორც გიორგი თავდგირიძე თვლის, უცხოური სპეცსამსახურები რომ იყვნენ ამ ყველაფრის ორგანიზატორები, ეს უზარმაზარ თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული, მისი მოსაზრებით, ამაში უფრო შიდა ხელი ურევია, რომელიც პოლიტიკურ ან ბიზნეს-ჯგუფებს უკავშირდება.

თავდგირიძე მიიჩნევს, რომ ძალიან ძნელია მოტივსა და მიზანზე საუბარი და, ალბათ, გამოძიება დაადგენს რეალურად ვისგან არის პროცესი მართული. თუმცა ამასთანავე თვლის, რომ წინასაარჩვნო პერიოდის მიუხედავად, ეს იქნება ძალზე მშვიდი და უმტკივნეულო არჩევნები, რადგან არ კეთდება არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის.

**„ნაციონალურ მოძრაობას" ხმების მიღების არანაირი შანსი არ აქვს, არც ბურჯანაძეს არ აქვს ის ბერკეტები, ასეთი ოპერაციები მართოს, ამის გარდა, მისთვის მსგავსი რამ ძალზე დიდი რისკის შემცველი იქნებოდა.**

**ამ ყველაფერს სჭირდება ისეთი ბერკეტები, რომელიც აქვს რაღაც საიდუმლო ორგანიზაციებს, ბურჯანაძეს ეს არ გააჩნია, „ნაციონალური მოძრაობა" სულ თავდაყირაც რომ დადგეს, სოციოლოგიური კვლევების თანახმად, არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევს. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე მეჩვენება, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას არ ხელეწიფება მსგავსი ღონისძიებების გატარება.**

**უფრო მგონია, რომ ამის უკან შეიძლება იდგნენ სამართალდამცავი და სახედრო სტრუქტურების გარკვეული დაჯგუფებები, რომლებიც გარკვეულწილად უკმაყოფილოები არიან, რომ ძალაუფლებას ჩამოაშორეს და ასეთი ღონისძიებებით ცდილობენ თავიანთი საჭიროება წინ წამოსწიონ. ეს, რა თქმა უნდა, ვერსიაა და თუ გამოძიება დაიწყება, ალბათ, მსგავს კვალზე გავალთ",** — მიიჩნევს გიორგი თავდგირიძე.

ვის შეიძლება აწყობდეს მსგავსი რამ, ამ ეტაპზე როგორც მოგახსენეთ, სხვადასხვა ვერსიები არსებობს, თუმცა, იმედია, რომ ძალიან მალე გამოძიება ვერსიების არსებობის საშუალებას არ დატოვებს და კონკრეტულ დამნაშავეებს — დამკვეთებსა და ორგანიზატორებს გამოავლენს.

**მარიამ თოდაძე**

## არჩევნების წინ

# ხარატიშვილს თავისივე შემოღებული შეზღუდვები არ მოსწონს

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატი ხარატიშვილი მომხრეა იმ შეზღუდვების გაუქმებისა, რომლებიც მისი თავმჯდომარეობის დროს არჩევნებზე მედიისთვის დაწესდა.**

ლაპარაკია იმ ნორმებზე, რომლებიც ნაციონალების მონა-მორჩილმა ცესკომ რეჟიმის მითითებით შარშან, ზუსტად ამ დროს, პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ დააწესა. რომ არა საზოგადოებისა და სამთავრობოების აქტიურობა, მედიასაშულებები საარჩევნო უბნებზე მუშაობას საერთოდ ვერ შეძლებდა. სწორედ სამოქალაქო აქტიურობის შედეგად ცესკო იძულებული გახდა უბნებზე ვიდეო და აუდიო გადაღებები დაეშვა. მაგრამ ახალი რეგულაციები მკაცრი იყო: გადაღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი წერტილიდან. ერთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაშიც კი ოპერატორს თავისი ტექნიკიანად შენობიდან გააძევებდნენ. ეს კი ცხადია, ვერაფერი შეღავათი იყო ჟურნალისტებისათვის.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 2011 წელს ვენეციის კომისიის რეკომენდაციით ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი" ცვლილებები შევიდა და საარჩევნო უბნებზე ვიდეოთვალების დამონტაჟება აიკრძალა. რეკომენდაციის ავტორთა მოსაზრებით, ამგვარი თვალთვალის პირობებში ადამიანები თავისუფალ არჩევანს ვერ აკეთებენ. არადა სააკაშვილსა და მის გუნდს სწორედ თვალთვალის, ზეწოლისა და შიშის გარემოს დათესვა სურდათ.

მაშინ მათ მედიას გადაღებების ნება დართეს, ოღონდ დრაკონული წესებით — ერთი წერტილიდან გაუნძრევლობის პრინციპით. საზოგადოებას კი თვითკმაყოფილებით თვალში ნაცარი შეაყარეს. მათ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები თავიანთ ჰუმანურ აქტად მონათლეს და ახსნა-განმარტებებიც დაურთეს — ამას იმისთვის ვაკეთებთ, რომ დარღვევების არსებობის შემთხვევებში მოხდეს მათი დაფიქსირება, რათა სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში ფაქტობრივი მტკიცებულებებიაო.

მაგრამ სააკაშვილის რეჟიმმა „ჰუმანურობა" მხოლოდ 2 წელიწადი შეინარჩუნა. 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სააკაშვილის გუნდის ლიდერებმა იგრძნეს რა დამარცხების გარდუვალობა და შედეგების გაყალბების აუცილებლობა, ხარატიშვილის ხელით მიიღეს გადაწყვეტილება საარჩევნო უბნებზე ვიდეო-აუდიო და ფოტოგადაღებების აკრძალვის თაობაზე. სარჩულად მორიგი „ჰუმანური" ტყუილი დაუდეს — საარჩევნო უბნებზე ნებისმიერი გადაღება ამომრჩეველმა შესაძლოა ზეწოლად აღიქვასო.

უკვე გამოფხიზლებული საზოგადოება მორიგ ტყუილზე აღარ წამოეგო და არასამთავრობოებთან ერთად დაიწყო საპროტესტო აქციები. ხარატიშვილის უწყებამ სამოქალაქო წნეხს ვეღარ გაუძლო და მედიასაშუალებებს საარჩევნო უბნებზე გადაღების უფლება დართო, მაგრამ არნახული შეზღუდვებით.

დღეს უკვე ამ შეზღუდვების გაუქმებაზეც ალაპარაკდნენ. ერთ-ერთი მათგანი ამ შეზღუდვების ავტორი და შემოქმედი, პრეზიდენტობის კანდიდატი ხარატიშვილიცაა.

ჯერ კიდევ ზაფხულში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, რომ კონკრეტულად მედიასთან დაკავშირებულ საკითხებს საკანონმდებლო ორგანო სექტემბერში დაუბრუნდებოდა და შესაძლოა შეზღუდვების მოხსნა საპრეზიდენტო არჩევნებამდეც გამხდარიყო შესაძლებელი.

ამავე საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინათ რეკომენდაციებით ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მიმართა. ჯგუფის ხელმძღვანელის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით მმართველი გუნდის ამოცანაა სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება, რაც თავისუფალი მედიის გარეშე ვერ მიიღწევა. მისივე განმარტებით ჯგუფის მოსაზრებით გადაღებები უნდა ხდებოდეს საუბნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ მედიის წარმომადგენელი კენჭის ყრის შენობას დატოვებს, ის დაბრუნების და ფოტო, აუდიო, ვიდეო გადაღების უფლებებს კარგავს. ქუცნაშვილი იქვე დასძენს, რომ ინტერფრაქციული ჯგუფი ცესკოს ზედამხედველი ორგანო არ არის და მას მის მიმართ რეკომენდაციების გაცემის უფლებები არ აქვს. ყველაფერი ცესკოს წევრთა გადასაწყვეტია, აცხადებს ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი.

ცესკოს ახლად დანიშნული თავმჯდომარე თამარ ჟვანია ვერ აკონკრეტებს, შეცვლის თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია თავისსავე მიღებულ გადაწყვეტილებას. მას მედიის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით წინასწარი საუბრები უკვე ჰქონია თავის თანამშრომლებთან. იგი აპირებს უწყებაში მოიწვიოს მედიის წარმომადგენლები, ესაუბროს ჟურნალისტებს. მოისმინოს მათი არგუმენტები. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

იმისათვის, რომ მედიისთვის შეზღუდვები მოიხსნას, ცესკოს წევრთა 9 ხმაა საჭირო.

**ზაზა ბილიხოძე**

# პრეზიდენტი კვლავ იტყუება

**ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ერთადერთი უწყება რომელსაც ქვეყნის პირველი პირი არ აკრიტიკებდა, სწორედ თავდაცვის სამინისტრო იყო. ქვეყნის პირველმა პირმა ტონი გაამკაცრა და თავდაცვის მინისტრს ურჩევს, მის ლანძღვას და ქიშპობას ნაკლები დრო დაუთმოს და სამხედროებზე იფიქროს.** ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს ვიცე-პოლკოვნიკ ალეკო ტუღუშის მონახულების შემდეგ განუცხადა, რომელმაც ჰელმანდის პროვინციაში ნაღმზე აფეთქების შედეგად ორივე ფეხი დაკარგა, სამშობლოში დაბრუნებული კი, პრეზიდენტის ინფორმაციით, ავტოსადგომში ცხოვრობს.

**„ჩვენი ეროვნული სირცხვილია, რომ ალეკო ტუღუში, პოლკოვნიკი, ომების გმირი, საქართველოს სიმბოლო, ცხოვრობდეს „გარაჟში", მუხათგვერდის სასაფლაოს გვერდით. თავმოყვარეობა გვაქვს ჩვენ საერთოდ და ღირსება?! ღირსებაზე შეიძლება ამის შემდეგ საუბარი?! ახლა ველაპარაკე და ვთხოვე გიგი უგულავას, რომ ამ ადამიანს დაუყოვნებლივ გამოუყონ ბინა — კიდევ კარგი ეს ბერკეტები მაინც გვაქვს. ამასთან, ვავალებ და ვუბრძანებ თავდაცვის სამინისტროს, ეს კაცი დაასაქმონ. დაუყოვნებლივ, პროფესიის მიხედვით",** — განაცხადა სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველმა პირმა ალეკო ტუღუში წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა და აცხადებს, რომ მას რცხვენია იმის, რომ საქართველოს გმირს წმინდა გიორგის ორდენი „გარაჟში" უნდა გადასცეს.

**„მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, გმირი არის გმირი. ერთი საყვედური არ დაცდენია ამ კაცს როცა ველაპარაკებოდი. საუბრობდა მარტო იმ ბიჭებზე, რომლებიც, პრაქტიკულად, დაფინანსების გარეშე არიან დარჩენილი და სახელმწიფოსგან დახმარება სჭირდებათ, რომ ელემენტარულად, სარეაბილიტაციო კურსი გაიარონ. ალასანიას მინდა ვუთხრა — ბოლო 5 დღეში 10 განცხადება გააკეთა ჩემი სალანძღავი. იქნებ ცოტა ნაკლები დრო დაეთმო ჩემი ლანძღვისთვის, ქიშპობისთვის და ერთხელ მაინც დაინტერესებულიყო ამით.**

**ალექსანდრე ტუღუშზე ვრცლად მესაუბრა პრეზიდენტი ობამა, რომელმაც ის საავადმყოფოში მოინახულა. მისი გმირობით აღტაცებული იყო ამერიკელი გენერალი პეტრიუსი, მასზე რამდენჯერმე მესაუბრა ადმირალი სტავრიდისი, რომელმაც პირადად მოინახულა ამერიკაში. ეს არის ქართველი კაცის წარმოუდგენელი გმირობის, თავდადების და განსაკუთრებულობის ნამდვილი სიმბოლო.**

**საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ასეთი შვილები თითზე დასათვლელად დაბადებია. ახლა ეს კაცი, რომელიც ამდენი წელი, ბოლო ამდენი თვეები ამერიკაში მკურნალობდა, ჩამოვიდა საქართველოში და მინდა გაჩვენოთ სად ცხოვრობს... მუხათგვერდის სასაფლაოს მიახლოებულ ტერიტორიაზე, ფარეხში. ამის შემდეგ თავმოყვარეობა გვაქვს ჩვენ საერთოდ?! ღირსებაზე შეიძლება ამის შემდეგ საუბარი, ხალხნო?",** — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებას არ ადასტურებს თავდაცვის სამინისტრო და პრეზიდენტს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში ადანაშაულებს.



## „ტუღუშის გმირობის შესახებაც არაფერი იცოდა საზოგადოებამ, რადგან წინა ხელისუფლება ამას მალავდა"

**„თავდაცვის სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს, რომ ვიცე-პოლკოვნიკ ტუღუშს ამ დროისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობა უკავია და ამ პოსტზე მისი ხელფასი საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენს",** — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

ანაზღაურების ზუსტ ოდენობას, კონფიდენციალობიდან გამომდინარე, თავდაცვის უწყება არ აკონკრეტებს. გარდა ამისა, ირაკლი ალასანიას უწყება აცხადებს, რომ ვიცე-პოლკოვნიკს დაწერილი აქვს პატაკი ბინით უზრუნველყოფის შესახებ და მისი ბინით დაკმაყოფილების გადაწყვეტილება სამინისტროს შესაბამისმა კომისიამ ერთი კვირის წინ უკვე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ როგორც ყველა დაჭრილ სამხედროს, ასევე ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტუღუშს ბინა თბილისში გადაეცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ტუღუში საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში 2011 წელს დაიჭრა, თუმცა საბინაო ფონდში მისი შეყვანა და მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, ორი წლის შემდეგ, მხოლოდ ახლა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ამასთან, თავდაცვის სამინისტროში აქტიურად მოქმედებს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების დახმარების კომპლექსური პროგრამა. ეს სისტემა მოიცავს, დაჭრილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფას, მათ სამედიცინო დახმარებას, პროტეზირებას, პროფილურ დაზღვევას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების დახმარების კომპლექსურ პროგრამაში აქტიურად არიან ჩართულები თავად დაჭრილი სამხედროები. ალექსანდრე ტუღუში ამ პროგრამის ერთ-ერთი კოორდინატორია და მას ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ დაჭრილ სამხედროებთან კოორდინაცია და მათ პრობლემებზე მუშაობა ევალება.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი თეონა აქუბარდია აცხადებს, რომ სააკაშვილი იტყუება და მას უნდა ახსოვდეს როგორი პოლიტიკა იყო მისი გუნდის მმართველობის პერიოდში ავღანეთში დაჭრილი სამხედროებისა და ზოგადად სამშვიდობო მისიის წარმომადგენლების მიმართ.

**„ძალიან უხერხულია პრეზიდენტის მხრიდან ამის განცხადება. ჩვენ გვახსოვს, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარიკაცების დაღუპვისა და დაჭრის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. დაღუპულები მალულად ჩამოჰყავდათ საქართველოში. დღეს, როდესაც გამოდის და საუბრობს ალექსანდრე ტუღუშის გმირობაზე, მინდა შევახსენო საზოგადოებას და მათ შორის სააკაშვილს, რომ ალექსანდრე ტუღუშის გმირობის შესახებაც არაფერი იცოდა საზოგადოებამ რადგან წინა ხელისუფლება ამას მალავდა.**

**უნამუსობაა ის განცხადება, რაც სააკაშვილმა გააკეთა, ეს არის შავი პიარი, რომლესაც არანაირი გამართლება არა აქვს. ეს არაა ვიწრო პოლიტიკური ინტერესი, ეს არის შეიარაღებული ძალები და ჩვენი ბიჭები იქ არც ერთი მთავრობისა და პარტიის გამო არ არიან, ისინი არიან საქართველოსთვის. რაც შეეხება ალექსანდრე ტუღუშს და სხვა დაჭრილებს, ახალი ხელისუფლების ინიციატივით, 15 ათასის ნაცვლად დაღუპულ სამშვიდობოებს მიეცემათ 100 ათასი ლარი კომპენსაციის სახით, გარდა ამისა არის ძალიან მნიშვნელოვანი ისიც, რომ დაჭრილი სამხედროები დასაქმდებიან თავდაცვის უწყებაში",** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თეონა აქუბარდია.

**თამთა ქარჩავა**

## რეალობა და პერსპექტივა

**რამდენიც გნებავთ ვიბაქიბუქოთ, ქართველები ვართ რაც ვართო, სინამდვილეს მაინც ვერ გავექცევით. ამიტომაც, უმჯობესია, მწარე სიმართლეს თვალი გავუსწოროთ — საკუთარი თავის საზიანოდ მოქცევის მხრივ დუნიაზე ცოტა ერი თუ გაგვიწევს ღირსეულ კონკურენციას. ასეა ახლა, როცა ავადსახსენებელი „კოჰაბიტაცია" ხალხს ყელში იმდენად ამოუვიდა, რომ „მეოცნებეობას" თავს ანებებს და სხვადასხვა მიმართულებით გარბის, ხელისუფლებაში ახლად მოსული ჩინოსნები, ძველების მიბაძვით, ადგილ-მამულთა დაპატრონებას, ახლობელ-ნათესავთა „თბილად მოყუჩებას" და შავი დღისთვის „ორი კაპიკის" დაგროვებას ცდილობენ. მსახიობებით, რეჟისორებით, მხატვრებით და სხვა „ცნობადი" თუ ნაკლებად პოპულარული სახეებით დაკომპლექტებული პარლამენტი, რომლის წევრებს კანონშემოქმედების თაობაზე მიახლოებითი წარმოდგენაც არა აქვთ, ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში 200-ზე მეტ კანონს და კანონში მნიშვნელოვან შესწორებას იღებს (??!). სხვას თავი რომ დავანებოთ, ამ კანონთა მიღებამდე თითოზე ათი გვერდი მაინც არ იყო წასაკითხი?**

ახლა ეკონომიკური გუნდის მოღვაწეობასაც გადავავლოთ თვალი, რომელსაც რა „საძირკველი" დახვდა ნაციონალური მოძრაობის მცდელობით, ყველამ კარგად ვიცით. ამ ჯერზე ერთ, თითქოს დიდი ხნის წინანდელ და, ამდენად, ერთგვარად „მივიწყებულ" მომენტზე შევჩერდებით, როგორიც იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) საქართველოს გაწევრება და ამის გამო სახელისუფლებო დონეზე თუ სახელმწიფო მასმედიაში ატეხილი დიდი აჟიოტაჟი. თუმცა ამის რამდენადმე ხელშესახები შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ ამ ორგანიზაციაში კარგა ხნის მანძილზე რუსეთს არ ვუშვებდით, რადგან იქ გასაწევრებლად უკლებლივ ყველა წევრი ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ამის სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვითხოვდით, თუმცა კი „უფროსმა ძიებმა", რომლებსაც რუსეთთან საკუთარი ანგარიში აქვთ, ისევე როგორც უამრავ სხვა შემთხვევაში, „ხელები გადაგვიგრიხეს" და ჩვენც რუსეთს მსო-ში გაწევრების „მწვანე შუქი" ავუნთეთ.

ჩვენი უფლების სრულიად უსუსურად და უნიათოდ გამოყენების შემდგომ მაინც შეეძლო ეფიქრა საქართველოს ნაციონალების ხელისუფლებას, რომ ის შეღავათები მაინც გამოგვეყენებინა, რომლებსაც მსოფლიოში გაწევრებულ, ჩვენსავით გაჭირვებულ, განვითარებად ქვეყნებს მართალია დროებით, უფრო სწორად, ეკონომიკური ზრდის სტაბილური მაჩვენებლების მიღწევამდე, მაგრამ მაინც ანიჭებს. ლაპარაკია, კერძოდ, **იმპორტზე უფრო მაღალი საბაჟო გადასახადის დაწესებაზე,** რაც ადგილობრივი მრეწველობის განვითარების სტიმულატორი უნდა გახდეს, რადგან **სამამულო პროდუქცია უფრო იაფი ჯდება, საკუთარი ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების სუბსიდირების შესაძლებლობათა მეტად გამოყენებაზე.** ეს კი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას არა თუ ხელს არ შეუშლიდა, მნიშვნელოვნად წაადგებოდა, მაგრამ **ჩვენ ყველაფერზე უარი ვთქვით** და, რამდენიც გნებავთ არგუმენტი არ უნდა მოიყვანონ უსინდისო ნაციონალებმა, **ამის მიზეზი ისევ ან მათი კუთვნილი მონოპოლიები, ანდა საფარველ ქვეშ არსებული ბაზრის მონოპოლისტები იყვნენ** — აბა, თავიანთი ბატონობის ხანაში ხარისხიანი და, მით უმეტეს, იაფიანი სამამულო საქონელი ვის რა ჯანდაბად უნდოდა უხმო-უმეტყველო რიგითი მომხმარებლების გარდა? ამის შედეგად, მანამდე ისედაც წელგაუმართავი ადგილობრივი მრეწველობა უცხოური ხარისხანი საქონლის ქვეყანაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შემოდენილმა იმპორტული პროდუქციის ნიაღვარმა წალეკა, რის შედეგად უამრავი ადგილობრივი ბაზარი მხოლოდ უცხოური საქონლით დღესდღეობითაცაა გაჯერებული, რადგან სამამულო წარმოება გარკვეულ დარგებში ელემენტარულად არ არსებობს, ანდა მისი მოცულობა იმდენად მცირეა, რომ არანაირ როლს არ ასრულებს.

გარეთ გაგდებული შინაურის ჭირ-ვარამი

## გარეთ გაგდებული შინაურის ჭირ-ვარამი

იმ შეღავათების გამოყენება, რომლებიც მსოში გაწევრების შედეგად ავტომატურად შეგვეძლო მიგვეღო, მნიშვნელოვნად წაადგებოდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მავანთა მცდელობით (როგორც აქაური, ასევე უცხოური „ჩამოსხმის" ექსპერტებს ვგულისხმობთ) მათზე უარი ვთქვით, ისე, უბრალოდ, ყოველგვარი არსებითი ეკონომიკური ანალიზისა და სათანადო პროგრამის შემუშავების გარეშე, რომელშიც განვითარების მიმართულებები, გარკვეული სეგმენტები და სხვ. მომენტები იქნებოდა გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულ მონოპოლისტთა და მათ მფარველთა ყოვლისშემძლეობით კი შედეგად მივიღეთ ის, რაც სადღეისოდ გვაქვს: **ექსპერტთა საერთო აზრით, წლევანდელი ისედაც უსუსური 6-პროცენტიანი ტემპის მიღწევაც საკმაოდ პრობლემატურია.**

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ მმართველ ძალას საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვა მოდელი რომ აერჩია, მაშინ, მსო-ს წესების შესაბამისად, მოლაპარაკება და შეთანხმება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მის წევრ ცალ-ცალკე ქვეყანასთან გვიწევდა, რომელთაგან, ცხადია, თითოეულს, ჩვენგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარების საკუთარი სტრატეგია და ინტერესები აქვს. ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ეს პროცესი საკმაოდ გაჭიანურდებოდა. ამდენად, ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ შეღავათებზე უარის თქმით, ერთბაშად ორი კურდღელი მოკლეს მაშინდელი სახელმწიფო გუნდის წევრებმა: ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესიც დააჩქარეს „თავის აუტკივებლად" და თავის მფარველობის ქვეშ მონოპოლისტებიც დაიცვეს.

ვაჭრობის ლიბერალიზაციის კურსის გატარება საქართველომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე, 1999 წლიდან, მსო-ში გაწევრების შემდეგვე დაიწყო, რომელიც რამდენიმე წელიწადში განსხვავებული გახდა. ეს კი იმაში გამოიხატა, რომ **იმპორტული საქონლის დაახლოებით ცხრა ათას სახეობას სატარიფო განაკვეთები საერთოდ მოვუხსენით (?!).** ეს საქონელი საქართველოში დღესდღეობითაც ყოველგვარი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულია, შესაბამისად, მისი ფასი დაბალია და ადგილობრივ მწარმოებლებს მახრჩობელას მარყუჟივით გუდავს. ეს, უწინარესად, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე აისახება უარყოფითად: ფაქტობრივად, გამოდის, რომ **უცხო მოვიდა და შინაური გააგდო.**

საერთოდაც, სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან უამრავი ლაპარაკის, ავტორიტეტულ ფორუმებზე ნაირ-ნაირი პროგრამის წარდგენის მიუხედავად, ბოლო **წლების მანძილზე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მიმართ რამდენადმე გააზრებული, თუნდაც რამდენიმე წელზე გათვლილი სახელისუფლებო პროგრამა არა თუ არ განხორციელებულა, არც არასდროს ყოფილა.** ფიასკოები კი — რამდენიც გნებავთ, მარტო გენმოდიფიცირებული სიმინდის პროგრამა რად ღირს! ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში ბევრი არც არაფერია გასაკვირი — როცა დარგს „მამალი ძროხების" მთქმელი მინისტრი ხელმძღვანელობს, განა რა გონივრული გადაწყვეტილების მიღებაზე შეიძლება ლაპარაკი!

ეს, ასე ვთქვათ, ერთგვარად ზოგადი საკითხებია და საკმაოდ დაგვიანებული (თუმცა კი სავსებით დამსახურებული) წკიპურტები, მაგრამ ისმება რამდენიმე კითხვა, კერძოდ, **რას უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს გამართული სოფლის მეურნეობის პროგრამა და როგორია შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები?**

საექსპერტო აზრით, **სახელმწიფომ კარგად უნდა შეისწავლოს სოფლის მეურნეობის მთლიანად, ასევე მისი ცალკეული დარგების პოტენციალი, მათ შორის შეაფასოს მიწის ნაკვეთები, სავარგულები, განვითარებისა და წარმოების საკმაოდ მაღალი დონის შესანარჩუნებლად საჭირო კადრების რიცხოვნობა, კვალიფიკაცია, გამოცდილება, გადამზადებისა და სხვა საკითხები, მერე დაასახელოს პრიორიტეტები, სადაც საქართველოს სხვებთან შედარებით უკეთესი პოტენციალი აქვს, შეისწავლოს ბაზარი და ადგილობრივ მწარმოებლებს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი — სუბსიდიებით, ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობით, იმპორტისგან დამცველი მექანიზმების ჩართვით...**

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყანა (ჯუჯა სახელმწიფოების გამოკლებით, რომელთა ყველა სახეობის პროდუქციის მოხმარება მთლიანად უბაჟო იმპორტზეა დამოკიდებული) საკუთარ მწარმოებლებს იცავს, ამდენად **სოფლის მეურნეობის რეალურად მხარდასაჭერად საჭიროა მასში კოოპერაციის ფართო დანერგვა, ინოვაციების შემოღების ხელშეწყობა, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე ზრუნვა.** მოკლედ, გასაკეთებელი, დანაპირებების თუნდაც მიახლოებით შესრულებამდე, დღევანდელ ხელისუფლებას აუარება აქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## „ის ვანო აღარ არის!..“

**კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი მედიის წარმომადგენლებს აკრიტიკებს. უფრო სწორად, იმ ჟურნალისტების მიმართ გამოთქვამს პრეტენზიებს, რომლებიც ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ე.წ. დასაქმების პროგრამაზე წარმოებულ წინასასამართლო პროცესებს აშუქებენ.**



# ჭიაბერაშვილის ტყუილი და მერაბიშვილის – უხასიათობა

ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ჟურნალისტების მიმართ პრეტენზიები დღეს მას შემდეგ გამოთქვა, რაც მედიის წარმომადგენლებმა ყოფილი ჩინოვნიკის ჩაწერა არ ისურვეს.

კერძოდ, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასასამართლო სხდომაზე დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ ფოტო-ვიდეო გადაღება განახორციელა და პროცესის ამსახველი მასალები სოციალურ ქსელ – Facebook-ში ატვირთა, რაც პროკურორებმა გააპროტესტეს და მოსამართლის წინაშე შუამდგომლობა დააყენეს, რომ დამსწრე საზოგადოების მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის ნორმები დაცულიყო და გადაღება მხოლოდ იმ პირებს ეწარმოებინათ, რომელთაც ფოტო-ვიდეო გადაღების თხოვნით, სასამართლოს მიმართეს.

პროკურორ რევაზ თოფურიას განმარტებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მიხედვით, სასამართლო პროცესის ექსკლუზიურად გაშუქების უფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს, პროცესზე დამსწრე პირები კი, ფოტო-ვიდეო გადაღებას კანონის დარღვევით აწარმოებენ, რის გამოც, გადაღება უნდა აიკრძალოს.

თუ რას გულისხმობდა რევაზ თოფურია ფოტოგადაღების აკრძალვაში, for.ge-მ ამ საკითხზე განმარტება მეორე პროკურორს, **ნათია სონღულაშვილს** სთხოვა.

მისი განცხადებით, თოფურიას შუამდგომლობა იმას გულისხმობდა, რომ თუ პირს ფოტო-აუდიო გადაღების ნებართვა აქვს, მან გადაღება სასამართლო დარბაზში განკუთვნილი სპეციალური ადგილიდან უნდა აწარმოოს.

**„თუ ფოტო-აუდიო გადაღება ნებადართულია, ამისთვის სასამართლო დარბაზში სპეციალური ადგილია განკუთვნილი. თუ ვინმე ამ უფლებით ისარგებლებს, ის იმ ადგილზე უნდა მივიდეს, სადაც ჟურნალისტები არიან, ან ფოტო გადაღების განხორციელებაზე უარი თქვან. ბრალდების მხარემ სასამართლოს კანონის დაცვა მოსთხოვა და არა ის, რომ ვინმესთვის ამა თუ იმ მედია საშუალებას ფოტო-ვიდეო გადაღება აეკრძალოს“,** – განმარტავს სონღულაშვილი, რომლის განცხადებაშიც სიმართლე ფიგურირებს, რადგან ფოტო-ვიდეო გადაღების ნებართვის მიზნით, პირმა სასამართლოს ან წინა დღეს უნდა მიმართოს, ან გამონაკლისის დაშვების შემთხვევაში, სასამართლო დღეს. ამ გზას კი, მხოლოდ მედიის წარმომადგენლები ირჩევენ და უკვე მესამე სხდომაა, რაც ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ტარდება და ჟურნალისტებს გადაღების თვალსაზრისით, პრობლემები არ შექმნიათ. რაც შეეხება გოგა ხაჩიძეს, დეპუტატი დარბაზის შუა ნაწილში თავსდება და გადაღებას კომფორტული ადგილიდან აწარმოებს, მედიის წარმომადგენლები კი, ლოჟის ბოლო, მარჯვენა მხარეს გამოყოფილ ადგილებს იკავებენ.

აღსანიშნავია, რომ გოგა ხაჩიძე მოსამართლის გადაწყვეტილებას დაემორჩილა და გადაღებაზე უარი თქვა, მისგან განსხვავებით კი, ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ჭიაბერაშვილმა „აკრძალვებზე“ გაამახვილეს ყურადღება. ყოფილმა პრემიერმა საზოგადოებრივი არხი როგორც თავად უწოდა, „სამარცხვინო პროცესის“ არასათანადო გაშუქებაში დაადანაშაულა, ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა კი, განგაშის ზარი შემოჰკრა და ხელისუფლება ცენზურის დაწესებაში დადანაშაულა, თუმცა, მას „კოვზი ნაცარში“ ჩაუვარდა. დღის პირველ ნახევარში, ჟურნალისტებმა წინასასამართლო პროცესზე მიმდინარე მოვლენების გაშუქება განიზრახეს და მის ჩაწერაზე უარი თქვეს, რაზეც ჭიაბერაშვილის რეაქციამ არ დააყოვნა.

**„ჟურნალისტები ვერ ხვდებიან რა უნდა გააშუქონ! ამისთვის მჭირდება აქ – გიორგი“,** – განაცხადა თანაგუნდელებთან საუბრისას ჭიარებაშვილმა, რომელიც ადგილზე „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელის, გიორგი პატარაიას არსებობას ნატრობდა.

მართალია, ყოფილ მინისტრს ნატვრა არ აუხდა, მაგრამ მას მონდომება დაუფასდა. მედიის წარმომადგენლებმა გუბერნატორი წინასასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჩაწერეს, სადაც მან აღნიშნა, რომ **საზოგადოებას პროკურატურამ ორი რამით დაგვამახსოვრა თავი: „პირველ რიგში, პროკურატურამ მოითხოვა, რომ სასამართლო პროცესი რაც შეიძლებოდა დახურული ყოფილიყო. ასეთი შეკერილი საქმით თვალში ნაცრის შეყრა ასე ადვილი არ არის“,** – დასძინა მინისტრმა, რომელსაც პროკურატურა ბრალს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში სდებს, ანუ – საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრისთვის.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომაზე მიმდინარე სხვა პროცესებს, ბრალდებისა და დაცვის მხარემ რამდენიმე შუამდგომლობა დააყენა. პროკურორებმა მოითხოვეს, რომ დაკითხული არ იყვნენ ყოფილი მინისტრები, დაცვის მხარემ კი, 3969 მოწმეთა სიის შემცირება მოითხოვა. ასევე, მათ შუამდგომლობა დააყენეს, რომ დაუშვებლად ყოფილიყო ცნობილი მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავების ოქმები. მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა. მათ შორის, არც ვანო მერაბიშვილის შუამდგომლობა, რომელიც მოწმეთა სიის შემცირებას ითხოვდა. აღნიშნული მოთხოვნის გარდა, მერაბიშვილს სხვა საკითხებზე არ უსაუბრია, განსხვავებით წინა სხდომისგან, სადაც მან მეუღლეს, თაკო სალაყაიას ჰაეროვანი კოცნები უგზავნა. საგულისხმოა, რომ მერაბიშვილის უხასიათობაზე for.ge-სთან კულუარულ საუბარში უმცირესობის ლიდერებიც საუბრობენ. **მათი ცნობით, ყოფილი „ხერხემალი“ მიმდინარე პროცესებს განიცდის და „ის ვანო, აღარ არის რაც იყო“.**

**თეონა მანაგაძე**

## ქართული სოფელი

# ციტრუსზე სუბსიდია გამოირიცხა, სანაცვლოდ იქნება რუსეთის ბაზარი

**საქართველოში ციტრუსის რეკორდულ მოსავალს ელოდებიან. პარალელურად კი თვალი რუსეთის ბაზრისკენ უჭირავთ. ფასი სექტემბრის ბოლო განისაზღვრება და, სავარაუდოდ, ნოემბრისთვის ნარინჯისფერი პროდუქტი კავკასიონსაც გადალახავს.**

**აჭარაში წელს, შარშანდელთან შედარებით, ციტრუსის გაორმაგებულ მოსავალს პროგნოზირებენ. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი აცხადებს, რომ ფერმერები 130 ათას ტონამდე ციტრუსის დაკრეფას პროგნოზირებენ. თუკი მართლაც ამ რაოდენობის მოსავალი მოვიდა, ეს ბოლო წლების რეკორდი იქნება.**

დიდმოსავლიანობა მით უფრო სასიამოვნოა, როცა ქართველ მწარმოებლებს რუსეთში პროდუქციის გატანის შესაძლებლობა ეძლევათ. მაშინ, როცა უკრაინისა და ბელორუსის ბაზრები ასე თუ ისე ათვისებულია, რუსეთში ციტრუსის ექსპორტირების შემთხვევაში, სავარაუდოდ, გაუსაღებელი არაფერი დარჩება.

**აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაურ ფუტკარაძის თქმით, სამინისტრო რუსეთის ფიტო-სანიტარული სამსახურის კომისიის ოფიციალურ პასუხს ელოდება, რომლის შედეგადაც გადაწყდება, რა დროიდან გავა ქართული ციტრუსი რუსულ ბაზარზე. მისი განცხადებით, წინა წლისგან განსხვავებით, წლეულს სახელმწიფო ციტრუსზე სუბსიდიას არ გამოყოფს, თუმცა საუბარია დაახლოებით 30-მდე შემფუთავ-დამახარისხებელი საწარმოს აშენებაზე, რომლებიც სუბსიდიის სანაცვლოდ შეღავათიან კრედიტებს მიიღებენ.**

**რა ეღირება წელს ციტრუსი, ფუტკარაძე ამ ეტაპზე პასუხისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ქართული ციტრუსის ფასი ესპანეთში, საბერძნეთში, ხორვატიასა და თურქეთში არსებულ მოსავალზე იქნება დამოკიდებული.**

საბჭოთა პერიოდში, საქართველო ციტრუსით, პრაქტიკულად, მთელ სსრკ-ს ამარაგებდა. იმ პერიოდის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოსავალი 1970 წელს დაფიქსირდა - 136 ათასი ტონა. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ქვეყანამ მიიღო 2002 წელს, როდესაც მხოლოდ 33 ათასი ტონა ციტრუსი აიღეს. მოგვიანებით, ვითარება გამოსწორდა. უკვე 2011 წელს, ციტრუსის მოსავალმა 110 ათას ტონას მიაღწია, თუმცა მაშინაც და დღესაც ქართული ციტრუსის დაბალი ხარისხი სერიოზულ პრობლემად რჩება. ამ მიზეზით, შარშან ექსპორტზე მხოლოდ 11 ათასი ტონა ციტრუსი გავიდა.



ამიტომაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ წლეულს მთავარი აქცენტი მოსავლის ხარისხზე გაკეთდება. რამდენიმე აუცილებელი პირობაც არსებობს, რისი დაკმაყოფილებაც ციტრუსის ექსპორტის გასაუმჯობესებლად იგეგმება. ცნობილია, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი ციტრუსის წილი მთლიან მოსავალში 10 პროცენტსაც არ აღწევს.

**ციტრუსის სეზონისთვის რეგიონში არსებული საწარმოები უკვე შეუდგნენ სამზადისს. ფასი დაახლოებით სექტემბრის ბოლოს განისაზღვრება. გურიაში მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთ ძირითად ექსპორტიორად ციტრუსისთვის დარჩება უკრაინის ბაზარიც, სადაც ქართული პროდუქტის მიმართ მოთხოვნა ყოველთვის დიდია.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ომარ ჩხარტიშვილი ვარაუდობს, რომ გურიის რეგიონში წელს 10 000 ტონა ციტრუსის მიღებას შეძლებენ.

**„შარშან ჩვენი ციტრუსის დიდი ნაწილი უკრაინაში გაიგზავნა, ნაწილი კი აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვის ბაზრებზე. დიდი იმედით ველოდებით რუსული ბაზრის გახსნას, მაგრამ ეს არ იქნება ერთადერთი და პარალელურად სხვა ბაზრებზეც ვიმუშავებთ. გურიაში, ჯერჯერობით, არ არის გადამამუშავებელი საწარმოები, თუმცა შენახვის პრობლემა არ გვექნება“,** – ამბობს ომარ ჩხარტიშვილი.

**ეკა ბაქრაძე**

## ალიან-ჩალიანი

### მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველო 72-ე ადგილზეა

**გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 12 მაჩვენებლის მიხედვით დგება. ესენია ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, სასაქონლო და შრომითი ბაზრების ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიური მზადყოფნა, ბაზრის სიდიდე, ბიზნესის დახვეწილობა და ინოვაციურობა.**

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ მდგომარეობა გააუმჯობესა მაკროენომომიკური მდგომარეობის კატეგორიაში, სადაც 61-ე ადგილზე გავიდა (88), , ინსტიტუციებში – 64-ე ადგილზე (66), უმაღლესი განათლებისა და ტრენინგების კატეგორიაში – 92 (93), სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა – 67 (82), ფინანსური მარკეტის განვითარება – 75 (93), ტექნოლოგიური მზადყოფნა – 68 (76), ბაზრის სიდიდე – 103 (99).**

**ინდექსის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემატურ ფაქტორად ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა, არასრულყოფილად განათლებული მუშახელი, ცუდი სამუშაო ეთიკის მქონე ადგილობრივი მუშახელი და პოლიტიკური არასტაბილურობაა.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვისა და თბილისის დიალოგი ღობეს მიეჯახა

**ერთ თვის შესვენების შემდეგ განახლებული სამუშაოები სამხრეთი ოსეთისა და საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე დაბრკოლებათა აშენებისთვის შეწყდა. რუსმა მესაზღვრეებმა, რომლებიც ორი თვის წინათ გამოჩნდნენ ქართულ სოფელ დიცის მახლობლად, დატოვეს რაიონი. მაგრამ თბილისში მიაჩნიათ, რომ ეს ქმნის ნეგატიურ ფონს პრაღაში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მორიგი რაუნდისთვის.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად ადგილზე არ ჩანან არც სამხედროები, არც მუშები და თავად სიტუაციაც სოფელში „მშვიდია“.

რუსეთში მიუთითებენ ცხინვალის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელმაც გადაწყვიტა, მოეწყო „სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია“.

რუსი სამხედროები დიცში 17 სექტემბერს გამოჩნდნენ. მესაზღვრეებმა განაახლეს მუშაობა ხაზის გავლებისთვის, რასაც მოსკოვი სამხრეთი ოსეთის სახელმწიფოს საზღვრად მიიჩნევს. ამან ქართული სოფლის და თბილისში პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია.

თავად დიცში ადგილობრივი მცხოვრებლები ედავებოდნენ რუს სამხედრო მოსამსახურეებს, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ისინი, შეეწყვიტათ სამუშაო. ვითარება რომ განემუხტათ, სოფელში ჩავიდნენ ქართველი პოლიციელები და ევროპელი მეთვალყურეები.

ინციდენტმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღშფოთებითი რეაქცია გამოიწვია, სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი, როდესაც აგებს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაბრკოლებებს, არღვევს საერთაშორისო ნორმებს, ადგილობრივი მოსახლეობა კი ასეთ მოქმედებათა შედეგად „ხდება მოწყვეტილი თავიანთი მიწის ნაკვეთებისგან, ვერ აწარმოებენ საველე სამუშაოებს, კარგავენ სასაფლაოზე მისვლის საშუალებას“.

შეშფოთება დიცში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ოთხშაბათს გამოთქვა ნატოს სპეციალურმა წარმომადგენლებმაც სამხრეთი კავკასიიისა და შუა აზიის საკითხებზე ჯეიმს აპატურაიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ამგვარი მოქმედებები ართულებენ რეგიონში „პოლიტიკურ პროცესს“ და რომ ეს არის „ხელშეკრულების დარღვევა“ რუსეთის მხრიდან.

### როგორ მივიდეთ სასაფლაომდე?

**უკანასკნელი პუნქტი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში გახდა კიდეც ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მესაზღვრეებს შორის წარმოქმნილ დავაში**



**— მავთულხლართები კეტავენ გზას სოფლის სასაფლაოსკენ და დიცის მცხოვრებლებს ეშინიათ, რომ დაკარგავენ შესაძლებლობას, მოინახულონ ნათესავებისა და ახლობლების საფლავები.**

სიტუაციას თვალყურს ადევნებს ევროკავშირის მეთვალყურეთა მისია, რომელიც აწარმოებს მონიტორინგს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საზღვრების მახლობლად მყოფ სოფლებში.

როგორც ბიბისის რუსულ სამსახურს ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის ოპერატიული განყოფილების ხელმძღვანელმა კლაივ ტროტმა განუცხადა, სიტუაცია სოფელ დიცის სასაფლაოსთან დაკავშირებით უკვე იყო გამოტანილი რუსეთის მხარესთან მოლაპარაკების დროს რამდენიმე თვის წინათ. მაშინ გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა, მაგრამ სამუშაოები შეწყდა.

**„ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ სასაფლაოზე მისვლის საშუალება, მაგრამ ღობურები, რომლებიც აღიმართება ამჟამად, კეტავს მისკენ მიმავალ გზას. თავად სასაფლაო ღობურების მიღმა რჩება. ეს ნიშნავს, რომ იქამდე მისვლა საჭიროა ველის გადავლით“,** — აღნიშნა ტროტმა.

აქტიური სამუშაოები დაბრკოლებათა აღმართვის მიზნით სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაიწყო 2013 წლის გაზაფხულის ბოლოს.

თბილისში აკრედიტებულმა დიპლომატებმა დაათვალიერეს სამუშაოები და გამოთქვეს თავიანთი შეშფოთება. საკითხი დაისვა ჟენევაში რუსეთ-საქართველოს რეგულარულ მოლაპარაკებებზე, რის შემდეგაც აგვისტოში სამუშაოები დროებით შეწყდა.

### მოლაპარაკების წინა დღეებში

**ერთთვიანი შესვენების შემდეგ ღობურების მშენებლობის განახლება დაემთხვა პრაღაში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ახალ რაუნდს. მასში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი.**

დღის წესრიგშია — ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა გაუმჯობესება, სატრანსპორტო მიმოსვლა და კულტურული კავშირურთიერთობანი.

**„ძნელია დაიჯერო, რომ ეს შემთხვევით ხდება“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ ბიბისის რუსულ სამსახურთან ინტერვიუში. მისი აზრით, მომხდარი ქმნის ნეგატიურ ფონს მოლაპარაკებისთვის.**

**„დაბრკოლებათა დაყენება და ინციდენტები ხდებოდა წინა მოლაპარაკებების დროსაც და შარშანწინდელი რაუნდის დროსაც. ეს რეგულარულ ხასიათს იძენს“,** — დაუმატა აბაშიძემ.

მან ასევე აღნიშნა: **მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტების ზონასთან, ამჯერად ძნელი იქნება გვერდი ავუაროთ ამ თემას „წმინდა ადამიანური თვალსაზრისით“.**

რუსეთის მხარე სამუშაოების განახლებას ქართული სოფლების საზღვრებთან ხსნის სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით: ცხინვალში გადაწყვიტეს მოაწყონ „სახელმწიფო საზღვრის დემილიტაცია“ და ამ პროცესში ჩართეს რუსი მესაზღვრეები, რომლებიც იცავენ კიდეც ამ საზღვრებს.

მიმდინარე წლის ზაფხულში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც უარყო ქართული მხარის პრეტენზიები და ისინი დაუკავშირა შემოდგომისთვის ქვეყანაში გათვალისწინებულ პრეზიდენტის არჩევნებს.

**„მცდელობა გააღვივონ სიტუაცია, რომელიც გამიზნულია საქართველოს წინასაარჩევნო კამპანიისთვის და, მით უმეტეს, „გადაიყვანონ ისრები“ რუსეთის ფედერაციაზე, უსამართლობაა“,** —აღნიშულია განცხადებაში.

ქართველი გლეხები არაერთგზის დაუკავებიათ რუს სამხედრო მოსამსახურეებს „სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევის გამო პირუტყვის საძოვრად გაყვანისა და საველე სამუშაოების დროს. ჩვეულებრივად, ასეთი დარღვევა იწვევს ხანმოკლე პატიმრობას ცხინვალის იზოლატორში და ჯარიმას, რისი გადახდის შემდეგაც გლეხებს გადასცემენ ხოლმე ქართულ მხარეს.

რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა. მის მაგალითს მიჰბაძეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის სამმა კუნძულოვანმა სახელმწიფომ — ტუვალუმ, ნაურუმ და ვანუატუმ. ამ უკანასკნელმა, სხვათა შორის, წელს თავისი აღიარება უკან გაიწვია.

BBC RUSSIAN.com

# „ნატო ეხმარება რუსეთს გააფართოოს სტაბილურობის სფერო“

**აზერბაიჯანში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი მეთიუ ბრაიზა მიიჩნევს, რომ რუსეთს არ უნდა ეშინოდეს საქართველოს შეერთებისა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.**

ნატოს წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიკავონ უფრო თავშეკავებული პოზიცია რუსეთთან ურთიერთობაში, რომელიც რეგულალურად გამოხატავს თავის შეშფოთებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით კავკასიაში. რუსეთი ისტორიულად მიიჩნევდა და კვლავაც მიიჩნევს, რომ კავკასიის რესპუბლიკები მათი გავლენის სფეროში არიან. ასეთი თვალსაზრისი ამერიკის ხმის ქართულ სამსახურთან ინტერვიუში გამოხატა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა აზერბაიჯანში, ამჟამად კი ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭოს უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მეთიუ ბრაიზამ.

**„ვფიქრობ, რომ ამას უბრალოდ უნდა შეეგუო. სანამ რუსეთი რჩება რუსეთად, კრემლი კვლავაც მიიჩნევს სამხრეთ კავკასიას თავის ყველაზე მტკივნეულ ადგილად თავისი საზღვრების შიგნითა მხრიდან. თავისი საზღვრების შიგნით კი — ეს არის ჩრდილოეთი კავკასია. სიტუაციის ამგვარი ხედვა თავისი ფესვებით ივანე მრისხანეს ეპოქისკენ მიდის, და მის წინამორბედ დრომდეც კი. ეს გარდაუვალია. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები, ვის მიმართაც იჩენენ ასეთ „ინტერესს“, აღმოჩნდნენ გონიერები თავიანთ ქცევებში და რომ ჩვენ, ევროატლანტიკური გაერთიანება, ვიქცეოდეთ ისე, რომ ჩვენი მოქმედება ასახავდეს ამ ქვეყნების მისწრაფებებს“,** — აღნიშნა ბრაიზამ.

მისი აზრით, არავინ დასავლეთში არ ცდილობს სასწრაფოდ შეუერთოს საქართველო ნატოს. ბრაიზას აზრით, ეს სულაც არ გახდის რუსეთს უფრო მტკივნეულს, როგორც ამას ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი მიიჩნევს: **„ნატოში ასე არავინ ფიქრობს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ქვეყანა მოინდომებს შეუერთდეს ყველაზე წარმატებულ სამხედრო პოლიტიკურ ალიანსს კაცობრიობის ისტორიაში, კავშირს, რომელიც ავრცელებს დემოკრატიასა და სტაბილურობას მთელს ევროპაში, რომელმაც ევროკავშირის დახმარებით პარტნიორებად აქცია საფრანგეთისა და გერმანიის აღიარებული მტრები, ჩვენ მას უნდა დავეხმაროთ“.**

მეთიუ ბრაიზას მიაჩნია, რომ დასავლეთმა არ უნდა უთხრას უარი საქართველოს — შეუერთდეს ნატოს მხოლოდ იმიტომ, რომ **„ეს ვიღაცას არ მოსწონს“.**

**„ვფიქრობ, რომ რუსეთი კვლავ იქნება შეშფოთებული იმით, რომ დასავლეთი ავრცელებს თავის გავლენას მის საზღვრებთან. მაგრამ ჩვენ ასევე უნდა დავეხმაროთ რუსეთს მისი შეშფოთების გადალახვაში და ავუხსნათ რუსეთის ხელმძღვანელობას, რომ ნატოს გაფართოება — არ არის საფრთხე რუსეთისთვის, არამედ არის მცდელობა დაეხმაროს რუსეთელებს, გააფართოონ მათ გარშემო სტაბილურობის სფერო. თუმცა, არც ჩვენ უნდა მოვახდინოთ მოსკოვის პროვოცირება“,** — ასკვნის ექსპერტი.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**პუტინის გამო, რომელიც მეხუთედ მოხვდა „ტაიმის“ ყდაზე, აშშ-ში გაძლიერდა კრიტიკა „სუსტი“ ობამას მისამართით**

რუსეთის ლიდერის ფოტოს თან ახლავს წარწერა „ამერიკა სუსტია და მერყეობს. რუსეთი მდიდარია და ღონძინდება — და მის ლიდერს არ აღელვებს, თუ რას ფიქრობენ მასზე“. თუმცა, პუტინის პორტრეტი და საუბარი მის წარმატებების შესახებ მოათავსეს ჟურნალის მხოლოდ საერთაშორისო გამოცემებმა, მაშინ, როდესაც ამერიკულმა გამოცემამ არჩია ფეხბურთელის ფოტოს და სტატიის მოთავსება კოლეჯებში სპორტსმენების კომპენსაციის შესახებ.

* * *

**რეზოლუციის მომზადებამ სირიის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოში ორი მხარის მკაცრი დაპირისპირება გამოიწვია**



რუსეთი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სამხედრო ოპერაცია სირიაში დაიწყოს მხოლოდ გაეროს სანქციით. ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გვთავაზობენ რეზოლუციაში იყოს პუნქტი სამხედრო ჩარევის შესახებ. ჩინეთი სირიის საკითხში მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციას. ამერიკელები აპირებენ საერთაშორისო ტრიბუნალის მეშვეობით ბრალი დასდონ ბაშარ ასადის რეჟიმს სამხედრო დანაშაულობებში.

* * *

**მარსმავალმა „კურიოსიტიმ“ წითელ პლანეტაზე ვერ აღმოაჩინა მეთანი, რომელიც სიცოცხლის არსებობის ნიშნად ითვლება**



სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ დასკვნები, რაც გაკეთდა ხელსაწყოების დახმარებით, მარსმავალზე რომაა დაყენებული, ამცირებენ მარსზე ამჟამად იმ მიკრობების არსებობის შესაძლებლობას, რომლებიც აწარმოებენ მეთანს თავისი სიცოცხლისუნარიანობით. მაგრამ ეს დასკვნა შეეხება მიკრობების ნივთიერებათა ცვლის მხოლოდ ერთ ტიპს.

* * *

**აშშ და გაერო მოითხოვენ გამოძიებულ იქნეს კოსოვოში მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა**

უცნობმა დამნაშავეებმა ცეცხლი გაუხსნეს კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში ევროკავშირის მისიის ორ საპატრულო მანქანას. მანქანებში იმყოფებოდა ექვსი კაცი. ერთი მათგანი, ლიტვის მოქალაქე, მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა ადგილზე. ერთ თვეზე ნაკლები ხნის წინათ კოსოვოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გვთავაზობდა გაეუქმებინათ მისია.



# მონოლოგები რეკვიემის თანხლებით

## ორმოცდაათამეტი წელი ჩემს გვერდით მყოფი თანამესახედრის - ცირა ფურცელაძის ხსოვნას

### დილარ ივარდავა

შენი ჭურჭლის ფიცრები შემოეჭდო
ჩემი ყოფის საკანს,
ვიწყებ შენზე რეკვიემს და... ერთადერთო,
სულის თრთოლას, კანკალს
რა უშველის?
აწი გახსენება,
მუდამ გახსენება!
სიყრმიდანვე ნირუცვლელი ნება-ნება
შენთან მიხმობს ყველაფერი!
ყველაფერი, წვრილად მახსენდება,
საშინელი განსჯის წამი
თვალწინ დგება!
„ჩვეულებრივი“, რასაც ერქვა
ადრე, თურმე,
ატოტდა და ვერაფრით ვერ დავიურვე!
სულეთს ჩემსას
დასტყობია შენი სუნთქვა,
თოვლის ფიფქი მოფარფატე,
ფიფქზე სუფთა!
ყურადღებას, რასაც აღარ ვანიჭებდით,
არ ყოფილა ის საგანი დავიწყების!
გავიხსენებ აწ ყველაფერს მართლაც
წვრილად,
თუ დამაცლის სათქმელს წამით
ცრემლის წვიმა!
ნახევარი საუკუნე ხომ განვლიეთ
ტანჯვით წყვილად
და ჰა, ბორჯმა აგვაბორჯა
და გაგვწირა!
დღეს ჩემს სათქმელს
კლიტე ადევს ჩემო ცირა,
არა და ხომ ახლახან ვთქვით:
ბედმა ბოლოს გაგვიცინა?!

* * *

წუხელ წვიმდა!
შენც გაწვიმდა
და მე ცხადში ვკანკალებდი,
ვინ ყოფილხარ?
წყარო წმინდა,
ხელის გულზე სატარები!
გავიგე და... ახლა რა ვქნა,
ბოღმას რანაირად ვძლიო,
ზედ, სულეთზე მისულ მაქმანს,
რა სიმები შევაძლიო?!
მალე დამშლის უშენობა,
როგორ გახმა სულის წებო,
ვაშენებდით მზის შენობას,
აწ უშენოდ? უჰანგებოდ?
წუხელ წვიმამ გადამრია,
თავს ახლიდა სარკმელს ქარი,
მე მერჩივნა ამგვარ წრიალს,
შენ წასვლამდე, მოგეკალი!
გამიქრი და, რომ არ მყავხარ,
მოაცილეს ქატოს იფქლი,
მთვარეს ესმის ჩემი ყეფა,
გაძაღლებულ დღეებს ვითვლი!

* * *

გაუდაბურდა სამყარო ჩემთვის,
საქსაულებმა დაკაწრეს ბაღი,
ვაი, მემცხეთა სასჯელი ღმერთის,
თუმც განსასჯელად წარსული არ ღირს!
სიმარტოვისთვის ქმნილა საკანი,
აწ სისასტიკეს თავი ახალე,
საბედისწერო ჟამი კანკალებს,
წუთისოფელი ვის გაახარებს.
ჩავლილზე, ალბათ დარდები მომსპობს,
შენი ხმის ტემბრს სად დაველოდები,
ამ ქაოსეთში ბგერათა კოსმოსს
ვეღარ დავაწყობ ჩემი ბოდვებით!
შენ კოსმოსური იყავი თავად,
ნურვინ იფიქრებს ვმეტობ უაზროდ,
ვით ზომიერი სარტყელის ჰავა,
იყავ ყოველთვის ლბილი, უზადო!
არ გადასწევდი არვისკენ პინას,
სიმართლეს არვის დაუმალავდი,
შენს ერთ ნაბიჯსაც
ვერვინ გაკილავს.
რადგან სიმართლე გწამდა მარადის,
შანსი არ მიეც მაგ მტერ-მოყვარეს,
არ დარჩი მათი შესაფასები,
იყავი თბილი და გულმოწყალე,
მოყვასისათვის ქმნილი სავსებით!

* * *

ვინ მიმზადებდა მზაკვრულ ფათერაკს,
ავთა თვალთაგან ასე ვნებული,
როცა ვიფიქრე —
უკვე გათენდა,
დავრჩი ღვთისაგან შეჩვენებული.
ბოლომდის ვეღარ მიავგაროზე,
ჩემს ყოფას ფითრის სუნთქვა ედება,
ყინულად ქცეულ ზამთრის წყაროზე
სულ ამერია შემოქმედება.
ვინ განმიმზადოს აწ მე წამალი,
აქამდე მუდამ მყავდი იმედად,
წუთისოფელი, დღე — წარმავალი,
ჩემთვის ტკივილად ვინ გაიმეტა?!
ღვინოს უცაბედ დააცხრა ჭვანგი,
მომიახლოვდა ავი ზამთარი,
თავზე მეხვევა მწუხარე ჰანგი,
გახარებულა მაცილ-მზაკვარი!
არეული მაქვს ხვალის გზა-კვალი,
სულეთს ედება ხავსი და სვია,
მაგ შენი წასვლით მეხი დამკარი,
რომელსაც უფრო ღალატი ჰქვია!



* * *

კამერულია ეს სტრიქონები,
მაგრამ განცდაა,
მხოლოდ გულია;
სულს მიფლეთავენ სევდის ქორები,
რაც წასულია — დაკარგულია!
ნუთუ ყოველი იყო ამაო,
სიზმარეული არის ყოველი,
ქარში და ცეცხლში ერთად ვქანაობთ,
მძაფრ ზაფრას ხვალ, ზეგ უფრო მოველი.
მოარული მზე ღრუბლის ვეშაპმა
თვალდახელშუა გადამისანსლა,
ეს შენ კი არა,
დიახ, მე ვერსად
ვერ მივეახლე სიბრძნეს მიზანთან!
გადმოვპირქვავდი სავსე ჭურჭელი,
გარდა ცრემლების რა მაბადია,
ჭეშმარიტება მუდამ უცვლელი —
ახლა მარტოღა ჭმუნვა, დარდია!
სადა ხარ! გვედრი,
გაფრინდი, როგორც უცხო ფრინველი,
წყეული ხვედრი,
ამგვარი ბედი
არ ყოფილაო ქვეყნად პირველი!
თუმცა, ეს ჩემთვის რას შეღავათობს,
კაცი ეკლებზე ვერა, ვერ ივლი,
აგვისტოს ხვატში იმგვარად მათოვს
შიშველ ტკივილის მქვია კივილი!

* * *

მწველი ატომით, ცეცხლით, ურანით
ყველას თავისი აქვს საზრუნავი!
შენ იყავ ვარდი — მინდვრად შთენილი,
გრიგალ-ქარებით, წვიმით ღელვილი!
ეშმას რომ აღარ ეჭაშნიკება
და თუ შეგნების წრედი იკვრება —
გამოცდილებებს რაცხენ ბზიკებად!
ამ გზას მიჰყვება ზოგთა ნაგრამი
და სულ ერთია არის რა გვარის!
უცხოა მათთვის სრულიად უკვე —
სანთელს ძველ წესს და ადათს რომ უკმევ!
ეს — მათთვის ძალზე სასაცილოა
და... თაობათა ამგვარ ცილობას,
მთელი სამყარო აღიქვამს ავად,
და თუ ცხოვრება ამ გზებით წავა,
არ ვიცი ბოლოს რაღა იქნება, —
თუმცა, ეს ხომ ბევრს არც ეფიქრება!

* * *

ჩვენ, ორნივ ქმნილნი
ტანჯვის მასალით,
ალბათ მივიღებთ სულის ცხონებას,
ქარვაში ჩამჯდარ მუმიასავით
შეეწნის დრო-ჟამს ჩვენი ცხოვრებაც!
ბინდის მემინდევ, შენ დამასწარი,
ფრთოსანი, დღეებს შევრჩი უფრთებოდ
ამიტომ ვამბობ, რომ დამასწავლე,
რით იკვეცება კაცის უფლება!
ქერუბიმის ფრთის ექვსი ლაჟვარდი
სულეთისაკენ მაცქერალია,
სულო აჯანყდი,
სულო აზვავდი —
გამაგებინე რა მავალია?!

* * *

ამდენი ტიტა, იასამანი...
თავს დამხობილი უბედურება;
ცრემლით დაბინდდა ყოფის სამანი,
ხვალ-ზეგ ხომ უფრო დაიბურება,
მაგრამ იცოდე შენი სამარე
გულში მაქვს, სხვაგან არ მეგულება!
ჩემს ნებელობას დაღლა ეტყობა,
ამ მოდუნებას ვერვინ უშველის,
გლოვაში გვალვით ცეცხლმა შეტოპა,
ქვეყნის წინაშე დავრჩი შიშველი!
როცა ვდიდდები — ზღვარგადასული —
დიდ წინაპართა ნებით ვივსები,
ვეკუთვნი წარსულს და ეს წარსული
შემომგარსვია ფიქრის ნისლებით,
თუკი დღეიდან დავრჩი უგონოდ
მხევალი მარქვი ღრუბლის ზეწართა
მწამს, კოჭი არვის უნდა ვუგორო,
პირმოთნეობა შენ არ გეწადა!

* * *

გავუთამამდი სიკვდილს,
მე მისი ძალა ვიწამე;
წყეული წრე-ბრუნვის ციკლი
ჯიუტად მეფობს მიწაზე!
არ არჩევს კეთილს და ბოროტს,
საცერით ვიცრებით ყველანი,
ასეა, ბოლოს და ბოლოს —
წადილს ისწორებს ვერანი!
ღირსეულს კვალს რომ უსპობს,
ცოცხალთ მოდრეკას ასწავლის,
ნირშეუცვლელად მუსრობს,
რომ არ გაუვა წყალს წყალი!
და ამას უხერხებ ვერაფერს,
ასეა! მისი გზით იარე!
სიკვდილი შავსა თუ ფერადებს
მოვა და... გააწკრიალებს!

* * *

— მარტოკამ ლოდი როგორ ათრიო? —
ყრუდ ახმაურდნენ ჩემი ბწკარები, —
თუ რამ შეგცოდე გთხოვ მაპატიო,
მუხმოდრეკილი გემუდარები!
თავადაც მესმის წყეულ ვერდიქტის,
ხვალისთვის მეტი ჯვარცმა მზადდება,
ჩვენი გზა ვლილი, მწარე ბედითი —
დარდებში უფრო გამიმწარდება.
როგორ მოვკიდო ხელი სპირიტიზმს,
შენს სულეთის გზას რით მოვეფერო,
დამიყვავებდე, ნეტავ, პირიქით,
ფრთოსნად ქცეულო ლექსის რეფრენო!
მისტიურ წიაღს ჩავეწინდები,
ბედისწერა ხომ ბორჯს ენასკვება;
შენ არ გჭირდები,
ეს მე მჭირდები,
შენი გაწყრომაც კი მენატრება!

* * *

გამოანათე მადლი უფალო
და შემიწყალე ძალზე უბრალოდ;
ნუ გამიწირე სერაფიმები,
აღმოაცინე გზაზე იმედი,
რომ არ აბღავლდეს ხარი ირემი,
მაცნე ტანჯვათა როგორ ვირევი,
ნუთუ ყოველი გაქრა მიზნურად,
სიამე ქვეყნის ასე მთავრდება?
აწ სამერმისოდ ვერარას ვზრუნავ,
აზრი წაერთვა ჩემს თავდადებას!
მაინც ვირჯები, უფრო ამაოდ?
სანამ ცოცხალი ვარ,
იცოცხლებ შენაც!
ხსოვნის კერაზე ლარჭად ქანაობ
და ისევ შენგნით მოველი შველას.
მეოხად შვილთა ვილოცებ შენთვის
დამიმწყალობე მწყურვალი ესე, —
მოგვართვლევინებს მაღალი ღმერთი,
თუ რამ სიკეთის მარცვალი ვთესეთ!

* * *

ვინ მიმზადებდა ასეთ ფათერაკს,
ავ თვალებისგან დავრჩი ვნებული,
როცა მეგონა აჰა, გათენდა,
მაშინ ვყოფილვარ შეჩვენებული!
ზამთრისპირ ვეღარ მიავგაროზე,
სურო და ფითრის ვიქეც ფეთებად,
ლოლუად ქცეულ ჭირხლის წყაროზე
ვის უნდა ჩემი შემოქმედება.
ვინ მომაწოდოს აწ ხსნის წამალი
მყავდი აქიმად,
მუდამ იმედად;
წუთისოფელი — დღე — წარმავალი,
ასეთი წყევლით ვინ გაიმეტა?
მეც გულზე მაზის მიმინოს ჭანგი,
მიჭირვეულებს ავი ზამთარი,
სარეკვიემო მწუხარე ჰანგი
თავს დამცხრობია, როგორც მზაკვარი.
არეული მაქვს ახლა გზა-კვალი,
გულზე გველივით მეხვევა სვია,
მოულოდნელი ელდა დამკარი,
შენს ამ საქციელს ღალატი ჰქვია!

XXX

აწ ტანჯვისმომცველ ყოფის გნიასში
ჩანგს ავიღებ და საფლავს მივაფშვნი...
მანდ ვივალვალებ დაჭრილ ფრთებითა
შენ კი— ბებოს და პაპის წიაღში,
ადრე წასულ ძმას ჩახუტებიხარ!
სიმშვიდე ექმნეს შენს დანატოვარს,
სულს ნუ აგიღმვრევს მათზე დარდები,
მე კი უშენოდ რა ვქნა, მარტო ვარ,
თუმც რაღა მარტო,
სულ მელანდები!
ეს ყველაფერი ცხადია, მაგრამ
ხშირად ავყვები სიცხიან ბოდვებს —
(ცარიელ ჭურჭელს ვგავარ ისედაც!)
ფურცელაძიანთ ანტონის ნაგრამს
ვერვინ წაგართმევს იქაც ღირსებას.
მეუღლევ, დედავ, ბებოვ, ნათელო,
შენნაირებმა აცოცხლეს ქართლი;
ქალი კი არა, ხარ საქართველო,
ამაღლებული, კოსმოსში დაჰქრი!
ფუძე იყავ და დარჩები ფუძედ —
იბერთა მოდგმის,
ივერთა მოდგმის,
საარგონავტო ბაჯაღლო ზოდი,
უკვდავება რომ საძირკვლად უძევს.

### ბოლოთქმა

დღეს ეული და მიუსაფარი
ვწრიალებ, როგორც მწუხარე ქარი,
გულში მინთია ცირას ლამპარი,
ლოცვით მოსილი, დასაფიცარი!
მიუხეშდება სულის ხავერდი,
გრძნობამ ქერექად მოიგდო ხაო,
სიბრძნის ბილიკით ვეღარ გავედი,
სადაც ვარდეთის შრიალი ხარობს.
შემოგვეფეთა მზის დაბნელება,
ასე, მიმწუხრი მიახლოვდება —
აზრის დაბინდვა და დაბერება
კაცს თან მიჰყვება თურმე გოდებად!
დაჯანღებულა საფრენი სივრცე,
მარტო წუხილს და დარდებს ვემონვი,
განძი არა მაქვს, მოძმეს არ მივცე,
სუნთქვას მიკეტავს შავი დემონიც!
ვერ მოვიშორე ღრუბლის ნაჭრები,
დღე მეურჩება და მიძნელდება,
უფალს სიცოცხლეს არ ვევაჭრები,
ის, მწამს, უთუოდ იქაც გრძელდება!
დღეთა საკანში მდუმარე ვზივარ
მარტოობაში გამოკეტილი,
თვალებდაოსილს, ვაკისკენ მზირალს...
ნერვებს მიწეწავს მრავალწერტილი.
ნუთუ ყოველი ხდება შერჩევით,
მწუხარ არიამ სულ გადამრია...
ყოფას უმისოს ვერ შევეჩვევი:
— სეზამ გაიღე! — მე გთხოვ ძალიან!

2013, აგვისტო

კალათბურთი




# ლოგიკის კარნახით

**წლევანდელ ევრობასკეტს დამატებით დატვირთვას მისი სისტემა ანიჭებს, რომლის ძალითაც საგაისო მუნდიალის საგზურებს საუკეთესო ექვსეულის წევრები მოიპოვებენ. ბუნებრივია, ასეთმა სტიმულმა მეოთხედფინალისტებს, მათ შორის წინასწარ მაჩანჩალებად მიჩნეულებსაც კი, მეორე სუნთქვა გაუხსნა, თუმცა მათი შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯგუფური ეტაპისგან განსხვავებით, სენსაციები აღარ მომხდარა.**

**ხორვატეთი — უკრაინა 84:72**

პლეი-ოფში გასვლით სლავებმა უკვე გააკვირვეს საკალათბურთო სამყარო, მაგრამ ხომ გსმენიათ — მადა ჭამაში მოდისო.

ჰოდა, გლადირი, ჯეტერი, კრავცოვი და კომპანია ფავორიტ ბალკანელებსაც დიდი შემართებით შეებნენ. მეტიც — ჯერ 12:5 დაწინაურდნენ, პირველი პერიოდი კი 22:22 დაასრულეს.

როგორც აღმოჩნდა, ეს მაიკ ფრატელოს გუნდის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ყოფილა. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული, უკიჩი, ტომიჩი, დრეიპერი, რუდეზი და ბოგდანოვიჩი შეუჩერებელნი გახდნენ, რითაც ავტომატურად გაქრა ინტრიგა...

**ლიტვა — იტალია 81:77**

ამ უპროგნოზო ბრძოლის ბედი დასკვნითი პერიოდის დებიუტში გადაწყდა, როცა ბალტიისპირელებმა მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდეს — 15:0 (72:58). ასეთი ფსიქოლოგიური შოკიდან გამოსასვლელად ბელინელის, ჯენტილესა და დატომეს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ბოლო წუთებზე არადორის მიერ დაშვებულმა რამდენიმე შეცდომამ აპენინელებს მკვდრეთით აღდგომის საშუალება აღარ მისცა.




რაც შეეხება ლიტვას, ერთი სიამოვნებაა კალნიეტისის, კლეიზას, სეიბუტისის, პოციუსისა და ძმათა მათთა ოსტატობით ტკბობა.

**V-VIII ადგილებისთვის: სლოვენია — სერბეთი 92:74.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

სპეციალისტის აზრი. თქვენ რას ფიქრობთ?

# ფიზკულტურის, ფიზიკური აღზრდისა თუ სპორტის გაკვეთილი?

**ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი დოლაბერიძის საინტერესო ინტერვიუ, რომელშიც სპორტის აკადემიის პრობლემებთან ერთად გაკვრით იყო საუბარი სკოლებში ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებულ სავალალო მდგომარეობაზე. მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.**

რეფორმის ძირითადი არსი, ჩვეულებრივ, სიახლეს, პროგრესს, განვითარებას გულისხმობს და არა საგნის სახელწოდების შეცვლას. უწინდელმა მთავრობამ და განსაკუთრებით მისმა განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ასევე მიხეილ საკაშვილმა ყოვლად უსაფუძვლო და გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღეს სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სპორტით ჩასანაცვლებლად. მომზადდა ახალი სასკოლო პროგრამა „გზამკვლევი“, რაც სკოლის ცხოვრებაში ლამის აღმოჩენად აღიქვეს, არადა, ეს იმთავითვე მცდარი იყო. სასწავლო დაწესებულებებში აღზრდის მიზნით ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება უძველესი დროიდან აღზრდის სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა. ფიზკულტურის გაკვეთილის სპორტით ჩანაცვლების შეცდომა ცნებების აღრევამ და ნაციონალებისათვის ჩვეულმა სტილმა — საქმისადმი არაპროფესიულმა მიდგომამ გამოიწვია.



ამას წინათ პრესაში გამოითქვა სრულიად მართებული მოსაზრება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის გაკვეთილების ისევ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებით შეცვლის შესახებ. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ცნებები — „ფიზიკური კულტურა“, „ფიზიკური აღზრდა“ და „სპორტი“ სინონიმებია, რაც უვიცობის შედეგია და გაუგებრობებს იწვევს. ადამიანის ყველა სახის მოძრაობითი აქტივობა, რომლებსაც ჩვენს საკეთილდღეოდ გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად ვიყენებთ, ფიზიკური კულტურის ცნებაში გაერთიანდა, რომლის ფორმებსაც დამახასიათებელი სპეციფიკური ამოცანები (მიზანდასახულობა), განსხვავებული საშუალებები, მეთოდები, მეცადინეობის ორგანიზაციის ფორმები და სწავლა-აღზრდის პროცესისთვის საჭირო ყველა სახის ატრიბუტები აქვს. ფიზიკური კულტურის მეთოდები და ფორმები გარკვეული მოდიფიკაციით ფიზიკური კულტურის ყველა ფორმაში გამოიყენება, მაგრამ მათ შორის შინაარსობრივად განსხვავება იმდენად დიდია, რომ ურთიერთჩანაცვლება ყოვლად შეუძლებელია. ამდენად, სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიზნით გამოსაყენებელი მეცადინეობის ორგანიზაციულ ფორმას ფიზიკური კულტურის გაკვეთილს ვერ ვუწოდებთ, რადგან იგი მოიცავს მოძრაობითი აქტივობის მრავალ ფორმას, რომლებიც გაკვეთილის ფარგლებში ვერ განხორციელდება. ვერც სპორტის გაკვეთილს დავარქმევთ, რადგან სპორტის, როგორც ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი ფორმის, ამოცანები და მათი შესრულების გზები იმდენად რთული და ტევადია, რომ სასკოლო გაკვეთილის ფარგლებში (განსაკუთრებით ჩვენთან — საქართველოში) ვერანაირად ვერ განხორციელდება. მაშ რა უნდა ეწოდოს სკოლაში მოძრაობითი აქტივობის ორგანიზაციულ ფორმას? ალბათ, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი, რომლის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა, მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფა (ზოგჯერ მას ფიზიკური მომზადების გაკვეთილსაც უწოდებენ), ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების (ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, ნებელობითი თვისებების) მრავალმხრივი განვითარება, ფიზიკური განათლება და სპეციალური ცოდნით შეიარაღება, ფიზიკური მომზადების იმ კონდიციამდე აყვანა, რომ საშუალო სკოლის დამთავრებისას ახალგაზრდებს შეეძლოთ შრომითი (მათ შორის სპორტული) საქმიანობის ფერხულში სრულფასოვნად ჩაბმა. ასეთია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილისა და სკოლაში გატარებულ რეფორმასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გაუგებრობების საყოველთაო გააზრება.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სპორტის გაკვეთილის ნაცვლად ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს მივუბრუნდეთ. სკოლის სასწავლო გეგმაში შეტანილი საგნის დასახელებაც უნდა შეიცვალოს და მას „ფიზიკური აღზრდის“ საგანი დაერქვას.

**შოთა ბუაძე,**
**პროფესორი.**

ფეხბურთი

# ყაყაჩოსა სიჭრელითა

**აჯაფსანდალიაო, შეიძლება ითქვას ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის შემადგენლობაზე. ვის არ შეხვდებით ამ ჭრელ საზოგადოებაში — შარშანდელ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატებში ხელმოცარული (თუ ფეხ? — რედ.) გრანდებით დაწყებული, რიგითი მოკვდავებით დამთავრებული, რომლებიც არც ელიტაში ეპიზოდური გამოჩენით მატებენ რამეს ევროტურნირების მატიანეს და არც მომავალში გაახსენდება ვინმეს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სასტარტო შეხვედრებს მათი ნაწილი აგდებით მოეკიდა და შედეგებიც ნაირნაირი „გამოცხვა“.**

**„ა“ ჯგუფი.** „ვალენსია“ — „სუონსი“ 0:3, „სენტ გალენი“ — „ყუბანი“ 2:0.

**„ბ“ ჯგუფი.** „ეინდჰოვენი“ — „ლუდოგორეცი“ 0:2, „დინამო“ (ზაგრები) — „ჩერნომორეცი“ 1:2.

**„გ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ — „ელფსბორგი“ 4:0, „სტანდარტი“ — „ესბიერგი“ 1:2.

**„დ“ ჯგუფი.** „მარიბორი“ — „რუბინი“ 2:5, „ვარეგემი“ — „უიგანი“ 0:0.

**„ე“ ჯგუფი.** „პანდური“ — „დნიპრო“ 0:1, „ფიორენტინა“ — „ფერეირა“ 3:0.

**„ვ“ ჯგუფი.** „აინტრახტი“ — „ბორდო“ 3:0, „მაკაბი“ — „აპოელი“ 0:0.

**„ზ“ ჯგუფი.** „დინამო“ (კიევი) — „გენკი“ 0:1, „თუნი“ — „რაპიდი“ 1:0.

**„თ“ ჯგუფი.** „ეშტორილი“ — „სევილია“ 1:2, „ფრაიბურგი“ — „ლიბერეცი“ 2:2.

**„ი“ ჯგუფი.** „ბეტისი“ — „ლიონი“ 0:0, „გიმარაეში“ — „რიეკა“ 4:0.

**„კ“ ჯგუფი.** „ლაციო“ — „ლეგია“ 1:0, „აპოლონი“ — „ტრაბზონსფორი“ 1:2.

**„ლ“ ჯგუფი.** „შერიფი“ — „ანჟი“ 0:0, „ტოტენჰემი“ — „ტრომსო“ 3:0.

**„მ“ ჯგუფი.** „ჰაიფა“ — „ალკმაარი“ 0:1, პაოკი — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 2:1.

**გიორგი შოთაძე**



ინტერნეტიდან



# „მის სველი მაისური“

**ჯენიფერ ნიკოლ ლი აშშ-ს სპორტულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სექსბომბაა, რომელიც სახელს თანდათან კიდევ უფრო იხვეჭს და, ალბათ, არაა შორს ის დრო, როდესაც პოპულარობით ცნობილ ამერიკელ სპორტსმენებსა და ქალ მსახიობებს გაუტოლდება.**

ჯენიფერ ნიკოლ ლი შტატებში აღიარებულია, როგორც „ფიტნესის დედოფალი“ და ამერიკული საკალათბურთო კლუბის „მაიამი ჰითის“ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქომაგად ითვლება. ნიკოლ ლი ასევე სახელგანთქმულია თავისი თამამი ბუნებითა და ტიტლიკანმოყვარეობით.

ცოტა ხნის წინათ ჯენიფერმა მონაწილეობა მიიღო პოპულარულ ამერიკულ შოუში სახელწოდებით „მის სველი მაისური“, სადაც თავისი სხეულის საინტერესო ადგილებით მთელი ამერიკა მოხიბლა. ამის შემდეგ მისი პოპულარობა კიდით-კიდემდე გაიზარდა და ჯენიფერ ნიკოლ ლის მაისურის დასველებაზე ვინ აღარ ოცნებობს..

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ დასაჯერებლადაც ძნელია...

# ბავშვთა სასაკლაო!..



**შემზარავია აბორტების ის მასშტაბი, რომელიც დღეს მსოფლიოშია. ბავშვთა სასაკლაო — ეს არის ყველაზე დიდი ბოროტება, რომელსაც კაცობრიობა ჩადის ღვთის წინაშე. კიდევ უფრო დიდი საშინელებაა ის, რომ აბორტირებული ჩვილის ორგანოებს სხვადასხვა დარგში, მათ შორის კვების სფეროში იყენებენ.**

წარმოიდგინეთ, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო შემზარავი, როდესაც, შესაძლოა, მშობელი, დედა, გინდ მამა, რომელიმე კვების პროდუქტში გარეულ, თავისი ნებით მოკლული საკუთარი შვილის ორგანოს მიირთმევდეს, ამაზე საშინელი კანიბალიზმი წარმოუდგენელია.

სწორედ კანიბალიზმის წინააღმდეგ გამართა აქცია მართლმადიდებელთა საზოგადოებრივმა მოძრაობა „ბოჟია ვოლიამ“ კომპანია „ნესთლეს“ მოსკოვის ოფისთან. „ნესთლეს“ პარტნიორია კომპანია „სენომუქსი“, რომელიც 1999 წელს კალიფორნიაში ლიუბერტ შტრაერმა დააფუძნა. „სენომუქსი“ არომატიზატორებზე 113 პატენტს ფლობს, რომელთა უმრავლესობა აბორტირებული ნაყოფის უჯრედებისგან მზადდება. ეს არის HEK-293-ის უჯრედები, რომელთაც იღებენ ემბრიონის თირკმელებისგან.




სულ „სენომუქსმა“ 800 ათასი გემო შეიმუშავა. აი, „ნესთლეს“ პროდუქტები, რომლებიც შეიცავს HEK-293 -ს: ყველა ყავის ნაღები, სწრაფი მომზადების Maggi-ს სუპი, ბულიონის კუბიკები, კეტჩუპები, საწებლები, სანელებლები...

არცთუ დიდი ხნის წინათ „ნესთლეს“ პარტნიორი იყო „პეპსიკო“, რომელმაც შეწყვიტა გემოს გასაუმჯობესებლად აბორტირებული ნაყოფის უჯრედები.

ყოველწლიურად რუსეთიდან დასავლეთში 500 ათასზე მეტი რუსი ჩვილი ექსპორტირება ხდება პროდუქტების გემოს გასაძლიერებლად.

**ნატა ნიბლაძე**

გახსენება

# გურამ ორბელიანი



გურამ! რა მალე გაფრენილან დღეები, აღთქმული 40 დღე. მძიმე 40 დღე. შენი მაღალი სული კვლავ სუფევს ჩვენთან, ყველგან ვგრძნობთ, ყოველ კუთხეში. შენით გრძელდება ეს დღეები. ნაზი სიოს ჩურჩული რომ შემოგვეხალისება დილით, ეს შენი სუნთქვა, შენი სითბოა მარადისობის საუფლოდან მონაბერი. ყველას დამხმარევ, ყველას ჭირ-ვარამის მოზიარევ, დიადი სულის მქონე ადამიანო, როგორ უშფოთველად დანებდი სიკვდილს, ალბათ, მიიჩნიე, რომ იმ სამყაროდანაც გააგრძელებდი ზრუნვას თითოეულ ჩვენგანზე, რამეთუ მთელი შენი შეგნებული ცხოვრება იყო ზრუნვა ახლობლებისთვის. რა მძიმეა და მწარე შენთან განშორება, მაგრამ წინ ვერ აღვუდექით იმ გარდაუვალს, რასაც ბედისწერა ჰქვია სახელად. დაუვიწყარია შენს მიერ ნაკეთები კეთილი საქმეები.

შენ ჩვენში ჩასახლდი, შენ ჩვენთან ხარ, შენი მზრუნველობა და სიყვარული ჩვენში გრძელდება. საბედნიეროდ, დაგვრჩა თბილი, ტკბილი, არაჩვეულებრივი მოგონებები; როგორი მზრუნველი მეუღლე იყავი, უზადო მამა, კიდევ უფრო ზნემაღალი ბაბუა; სულით მდიდარი და საუკეთესო მეგობარი, ერთგულების ეტალონი... დიახ! სავალალოა შენი წასვლა, შე პირმტკიცე და უღალატო კაცო...

იყავ ნათელში, მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც შენს მკერდს ფარავს. ნათელი იყო შენი საიქიო სავალი გზა, ვით ნათლად და მართლად ვიდოდი ამ ქვეყანაზე.

**ახლობლები**

◉ ეროვნული აკადემია

# ჟურნალი გვამცნობს...

**დღის სინათლე იხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს წლევანდელმა პირველმა ნომერმა (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, რედაქტორი როინ მეტრეველი). ჟურნალის ეს ნომერი ცხრა კარისაგან შედგება: საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების ისტორია, თეოლოგია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან, ქართველები რუსეთის იმპერიაში, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ქრონიკა და ინფორმაცია.**

აქ ვხვდებით 16 ავტორის ნაშრომებს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ, ჩვენი ფიქრით, უფრო „ასატანს“ გაზეთის ფურცლებისათვის (რასაკვირველია, სხვა მკვლევართა არსაწყენად და მათთან მობოდიშებით): ომარ გოგიაშვილი, „ილიას ზნეობის კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი და ლევ ტოლსტოი“; ცირა ჯანაშია, „აღზრდის ზოგიერთი საკითხი XVII საუკუნის საქართველოში (ი. თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით)“; ეკა დულაშვილი, „ღვთისმშობლის მიძინების თემა სინას მთის ქართულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში“; ჯუანშერ ვათეიშვილი, „პეტრე დიდის წარმომავლობის საკითხისათვის“; ლია მელიქიშვილი, „მეცნიერება — ქვეყნის აღორძინების საფუძველი“. ყოველ სტატიას ახლავს რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე (რა კარგია, რომ რუსული ენა სააკადემიო ჟურნალში მაინც არ არის იგნორირებული...).

მოგვყავს, როგორც „დამაინტრიგებელი“, ერთი ციტატა ჯ. ვათეიშვილის გამოკვლევიდან: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ქართველ საზოგადოებაში, უმთავრესად სამწერლო და სამეცნიერო წრეებში, თანდათან აზვირთდა მითქმა-მოთქმა პეტრე პირველის ქართული წარმომავლობის შესახებ, რაც შემდეგ მოარულ ლეგენდად იქცა, თუმცა ამ ვერსიის დამამტკიცებელი რაიმე ხელშესახები საბუთი არ ჩანდა“... პუბლიკაცია შემდეგ ნომერში გაგრძელდება და ვნახოთ, „გაქართველდება“ თუ არა სახელგანსმენილი რუსი ხელმწიფე...




ქრონიკისა და ინფორმაციის განყოფილებიდან ვტყობილობთ იმ სამეცნიერო სხდომის თაობაზე, რომელიც ეროვნულ აკადემიაში გაიმართა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების მე-80 და აღსაყდრების 35-ე წლისთავებს მიეძღვნა. ვეცნობით შარშან და წლეულს გამოქვეყნებული ახალი „პროფილური“ წიგნების ნუსხას: რ. მეტრეველის „რაჭა — შტრიხები წარსულიდან“, გ. მჭედლიშვილის „ისტორიული ეტიუდები“, კ. ფიფიას „აფხაზური სახელმწიფოებრიობა — მითი თუ ისტორიული რეალობა?“, ა. სურგულაძისა და პ. სურგულაძის „საქართველს ისტორია, 1783-1990, საკითხავი წიგნი“ და სხვა, სულ 11 დასახელებისა.

ნომერი მთავრდება „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის მილოცვით ზაზა ალექსიძის, ბაჩანა ბრეგვაძის, ვლადიმერ პაპავას, ავთანდილ სილაგაძის, ნანა ხაზარაძისა და ჯონი ხეცურიანისადმი — აკადემიკოსებად არჩევასთან დაკავშირებით.

**თამაზ ეზანიძე**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საქართველოში ვეტერანული მოძრაობის ამაგდარი აქტივისტი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი**

**ზეინაბ თაქთაქიშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ ინფორმაცია

# კვლავ ცრუ შეტყობინებები თბილისის... სკოლებში

**გუშინ, ერთდროულად თბილისის სამ საჯარო სკოლაში მოხდა მოსწავლეთა ევაკუაცია. მიზეზი კვლავ ცრუ შეტყობინება იყო სკოლებში ნაღმის არსებობის შესახებ.**

ბარნოვის ქუჩაზე მდებარე 53-ე საჯარო სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობა არ დადასტურდა.

სკოლის დირექტორის მარიამ რამინაშვილის განცხადებით, 10:05 საათზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა სკოლის ევაკუაცია მოითხოვეს.

მისივე ინფორმაციით, ზუსტად 7 წუთში 1 800 მოსწავლის ევაკუაცია მოხერხდა, რის შემდეგაც, დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში გამნაღმველები მუშაობდნენ. საბოლოოდ, შენობაში ნაღმის არსებობა არ დადასტურდა.

სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა, რადგან გამნაღმველებმა 24 საათის განმავლობაში სასწავლო პროცესის შეწყვეტის რეკომენდაცია მისცეს.

ამასთან, გამნაღმველები იმყოფებოდნენ პეტრიაშვილის ქუჩაზე 21-ე და ბაქოს ქუჩაზე მდებარე 24-ე საჯარო სკოლებში, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

◉ ალიან-ჩალიანი

## შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ორი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, 1970 წელს დაბადებული ვახტანგ კობახიძე და ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე, 1953 წელს დაბადებული აკაკი დანელია ამხილეს. ამჟამად ორივე მათგანი დაკავებულია.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები თანამდებობრივი უფლებამოსილების და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ უკანონო გარიგებაში შედიოდნენ პირებთან, რომლებსაც სამეწარმეო საქმიანობისათვის სურდათ წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობა.**

**დადგინდა ისიც, რომ მათ დაინტერესებულ პირს აღუთქვეს, რომ ყოველგვარი ნებართვისა და საიჯარო ხელშეკრულების გარეშე წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს სარგებლობაში გადასცემდნენ, სადაც ის შეძლებდა ავტომანქანების მოძრავი გაზგასამართი სპეციალური ავტომანქანის დაყენებას და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას. ასევე, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით სამსახურებრივ მფარველობას დაპირდნენ, რისთვისაც ქრთამის სახით მოითხოვეს და აიღეს 11 000 ლარი.**

**მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

## დააკავეს „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენლები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1 სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული ბექა თ. ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.**



**შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული აღიარებს ე.წ. „ქურდულ სამყაროს“ და მისი აქტიური წევრია. მას ურთიერთობა ჰქონდა პატიმრობაში და საზღვარგარეთ მყოფ ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წევრებთან.**

**გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს,. რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

## რა ღირს ყალბი დიპლომი?

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე , მოქალაქეები ვენერა გოგავა, ნარგიზა ბესელია, დარეჯან გეგეშიძე, დალი ჯებისაშვილი და ირაკლი სვანიძე დააკავეს.**

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, 4 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ერთ-ერთი მოქალაქის სახელზე, უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი ყალბი დიპლომი დაამზადეს და გაასაღეს.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით ითვალისწინებს.**

**ინტერპრესი**

**დღესასწაული**

# მარიამ ღვთისმშობლის შობა

**21 სექტემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო, საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობას.**

...ცნობილია, რომ ძე ღმრთისამ, იმისთვის, რათა მოდგმის ხსნა შესძლებოდა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი გამოარჩია. მარიამ ღვთისმშობელი კი ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმრთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო.

მარიამ ღვთისმშობელი დაიბადა ნაზარეთში. ის გამოვიდა ოდესღაც ცნობილი დავითის ტომიდან. სახარების მიხედვით, მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა.

ყოვლადწმინდა მარიამის შობის ხსენება უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ IV საუკუნეში დადგინდა.

ეს დღესასწაული სიხარულის დღესასწაულია, რადგან ადამიანთა მთელი მოდგმა განახლდა და პირველი დედის ევას მწუხარება სიხარულად გარდაიქცა: „შობამან შენმან ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინა მზე სიმართლისა — ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“.

ქრისტიანთა ამ უდიდეს დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვით აღნიშნავენ დიდუბის მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, ასევე, შუამთის, ბეთანიის, გელათის და სხვა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში.



**22 სექტემბერს კი ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის მშობლების მართალ იოაკიმეს და ანას ხსენების დღეს დღესასწაულობს.**

**გიული ლიპარტია**

**ჩვენი პრესდაიჯესტი**

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „პირველ რიგში დაისჯებიან ბოკერია, უგულავა და კირკიტაძე“

— **აცხადებს** „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი, — მოგეხსენებათ, ყველაზე საშიში არის რელიგიური შუღლის გაღვივება. არც ერთი რელიგიური დაპირისპირება არ მთავრდება უსისხლოდ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. სააკაშვილი და მისი დამქაშები ყოველთვის მიმართავდნენ ამ ხერხს, როცა საზოგადოების ყურადღების გადატანა და მათი შეშინება სჭირდებოდათ. წინა ხელისუფლება სულ აშინებდა და ატერორებდა ეთნიკურ უმცირესობას მთელი 9 წლის მანძილზე. იყენებდა ადგილობრივ აზერბაიჯანელებს, რომ იმისთვის მიეღწია, რაც სურდა. ძირითადად, ასეთ საქმეებს გიგა ბოკერიას ავალებდა, მის კაბინეტში იგეგმებოდა. მას ხელს უწყობდა ზოგიერთი აზერბაიჯანელი.

**„ალია“**

### „შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს“

— **მიაჩნია** „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივანს ალექსანდრე შალამბერიძეს, — თბილისის ცენტრის რკინიგზისგან გათავისუფლება მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ქალაქის განვითარებას, ორი ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირებას და მოსახლეობისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას ხელს შეუწყობს. შემოვლითი რკინიგზისთვის შემუშავებული სქემა შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ დაწყებულია, ნახევარზე მეტი სამუშაო შესრულებულია და საჭიროა ბოლომდე მიყვანა. თბილისის ცენტრში რკინიგზის აღების შედეგად, გამოთავისუფლებული ფართობი ქალაქის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოაჩენს.

**„რეზონანსი“**

### სარეკლამო აბრები ქართული წარწერის გარეშე აღარ განთავსდება?

**საკრებულომ** ქართული ენის დაცვა გადაწყვიტა. როგორც იქნა, ადამიანები შეწუხდნენ იმის გამო, რომ საქართველოში სარეკლამო აბრები მხოლოდ უცხო ენაზეა გამოკიდებული და აქტიურ მოქმედებაზეც გადავიდნენ მშობლიური ენის დასაცავად. გუშინ საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავამ და ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძემ რამდენიმე კომპანიას, რომლებსაც სარეკლამო აბრები მხოლოდ უცხო ენებზე აქვთ განთავსებული, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეკლამის სახელმწიფო ენაზე გავრცელების შესახებ კანონის დარღვევის თაობაზე გაფრთხილების ტექსტები დაურიგეს. გაფრთხილების შემდგომ კომპანიებს ერთი თვით ვადა მიეცათ, რათა წარწერები კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

**„ახალი თაობა“**

**თქვენთვის, გურმანებო**

# თევზი ბეკონში



**საჭირო მასალა**

4 ცალი საშუალო ზომის კალმახი, 4 ბეკონი, 60 გ. მარილი, 1 ლიმონის წვენი.

**მომზადება**

თევზი გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, გავამშრალოთ. მოვასხათ ლიმონის წვენი და 1 საათი მაცივარში გავაჩეროთ. შემდეგ მოვაყაროთ მარილი შიგნიდან და გარედან.

შეგვიძლია, რამდენიმე ადგილას კანი ჩავუჭრათ, რომ ბეკონის არომატი უკეთ შეითვისოს. გარედან შემოვახვიოთ სიფრიფანა დაჭრილი ბეკონი.

შევწვათ ღუმელში. 180 გრადუსზე, დაახლოებით 20-30 წუთის განმავლობაში.

სუფრაზე მივიტანოთ მსუბუქ გარნირთან ერთად.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
299-62-77; 599 32-85-76.

**ინფორმაცია**

## რუსთავში დევნილებმა საცხოვრებელი ბინები მიიღეს

**დევნილებს** რეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ გადასცა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ბაგა-ბაღის ყოფილ შენობას ჩაუტარდა, სადაც 10 ერთოთახიანი და 5 ოროთახიანი ბინაა.

„ასეთი სიტუაცია ჩემთვის ძალიან მგრძნობიარეა, რადგან ვხედავ დევნილთა ცრემლიან თვალებს, რომლებიც 20 წლის მანძილზე ბინას ელოდნენ. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლიდან, რიგით მეთორმეტე ობიექტია, რომელიც დევნილებს გადავეცით. ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში თხუთმეტმა ოჯახმა მიიღო ბინა, ასევე, რამდენიმე ობიექტზე ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობები. რუსთავში საცხოვრებელი ფართით წლის ბოლომდე 200-ზე მეტი ოჯახი დაკმაყოფილდება. მინდა, აღვნიშნო, რომ გვქონდა სერიოზული პრობლემები და მადლობა მინდა, გადავუხადო რუსთავის ახალ ხელმძღვანელობას, მერს, მთელ მის აპარატს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და გადაგვიწყვიტა ჩვენს ფართებში შეჭრილი სოციალურად დაუცველი ოჯახების საკითხი და მათ მოუძებნა ალტერნატიული ფართები, მათ კი, ვინც დღეს მიიღო ბინა, ვულოცავ და ვუსურვებ მალე აფხაზეთში დაბრუნებას“, — აღნიშნა დევნილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ.

**კადრი**



**ცინცხალი ანეკდოტები**

— **ბიჭო**, მოიხედე აქეთ, რატომ გაცვია ჩემი ლაბადა?

— როგორ თუ რატომ, აბა, უკეთესი იქნებოდა, რომ შენი ახალი პიჯაკი დასველებულიყო?

* * *

**ორი** ტიპი შეხვდა ერთმანეთს.

— სად იყავი?

— კალმახს ვიჭერდი.

— რამდენი დაიჭირე?

— არც ერთი.

— აბა, რა იცი, რომ კალმახს იჭერდი?

* * *

— **დაფეხმძიმებისგან** თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა კაცი!

— რანაირად?

— რანაირად და, კაცად უნდა დაიბადო...



* * *

**ორი** ციხის ზედამხედველი საუბრობს:

— ვინ ყვიროდა წუხელ ასე გულგანმგმირავად თქვენს კორპუსში?

— ჩვენი ახალბედა კოლეგა გავაშაყირეთ. მივათრიეთ მოძალადე-ჰომოსექსუალთა კამერასთან, შარვალი ჩავხადეთ, წავკუზეთ და კამერის კარი ოდნავ გამოვაღეთ.

— გასაგებია. ესე იგი ის ყვიროდა?

— არა.

— აბა ვინ?

— შაყირი შაყირად, მაგრამ მთავარია, დროულად მიაჯახუნო კარი!

* * *

**ორი** სამართალდამცავი ქუჩაში მიდის.

— ასე შეუმცდარად როგორ გამოარჩევ ხოლმე გამვლელებში მიგრანტებს? — ეკითხება თავის უფროს კოლეგას სტაჟიორი სამართალდამცავი.

— ადგილობრივები არ იღიმიან.

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24